



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მასივი

(ს08360)

15-30

№10 (319)

(5770)

2010

შპსი 50 თბილისი

“מנורה”

עיתון יהודי

בגורגיה

უახლით, უხდა იტოლათ ჰინ ჰინ არის!

9 მაისს მოსკოვში გაიმართა დიდი დღესასწაული – ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავი. ამ დღეებულ დღესთან დაკავშირებით, მოსკოვს ეწვია 21 სახელმწიფოს დელეგაცია პრეზიდენტების მეთაურობით, ხოლო სამხედრო პარადში მონაწილეობდნენ ანტიპიტლერული სახელმწიფოების კოალიციის არმიები.

გამარჯვების დღესასწაულზე ისრაელის დელეგაციას მეთაურობდა ქვეყნის პრეზიდენტი შიმონ პერესი. იგი ესწრებოდა გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს, სახელმწიფოთა მეთაურებისათვის გამართულ სადილს, მოლაპარაკება გამართა რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან, შიმონ პერესმა დ. მედვედევს მეშვეობით წერილი გაუგზავნა სირიის პრეზიდენტს ბაშარ ასადს.

10 მაისს მოსკოვის მეცნიერთა სახლში შიმონ პერესი შეხვდა მოსკოვის ებრაული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. შეხვედრის ორგანიზატორი გახლდათ ევრ-აზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მასკვეინი და რუსეთის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი თეო კანერი რუსეთში ისრაელის საელჩოს მონაწილეობით.

ამავე დღეს, სამშობლოში დაბრუნების წინ, შიმონ პერესი ეწვია მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტს. აქ მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა რუსული დიპლომატიის სამსახურის რექტორთან ანატოლი ტორკუნოვთან. შიმონ პერესი „მემო“-ს საპატიო დოქტორად აირჩიეს. რექტორმა საიმოვნებით აღნიშნა, რომ ამ ინსტიტუტში 9 ისრაელელი ახალგაზრდა სწავლობს. აქ მოქმედებს „ისრაელელ სტუდენტთა საზოგადოება“ ე.წ. „ებრაული კლუბი“. ისრაელის პრეზიდენტს წარუდგინეს ამ კლუბის ერთ-ერთი ლიდერი იცხაკ ბარ-ული – შვილი მოსკოვის ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთის „იცხაკის კარავის“ პრეზიდენტის – გა ელაშვილისა.

შიმონ პერესის რუსეთში ამ ვიზიტთან დაკავშირებით „იზრუს“-მა გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია.

Грузины объявили Шимона Переса “мелким подхалимом”

Шимон Перес заявил, что едет в Москву “поклониться русскому народу и Красной армии от лица всех евреев и народа Израиля за то, что спасли нас и всю планету от нацистского зла”. Грузинские СМИ назвали его “подхалимом”, оскорбившим память других народов.

Накануне вылета в Москву, для участия в церемонии празднования 65-й годовщины Победы над нацизмом, президент Израиля Шимон Перес дал интервью агентству “Интерфакс”, в котором отметил, что “если бы Красная армия не сотворила этой великой Победы, мир бы выглядел сейчас совсем по-другому”. По словам Переса, он едет, “чтобы поклониться русскому народу и Красной армии от лица всех евреев и народа Израиля за то, что спасли нас и всю планету от нацистского зла”. Он напомнил, что “около 80% всех погибших в Великой Отечественной войне пали на советских фронтах, и среди них 200 тысяч советских еврейских солдат, 148 из которых удостоились звания Герой Советского Союза”.

“В истории восточно-европейского еврейства, в том числе и российского, можно найти много несправедливых и порой ужасных событий. Еврейские погромы конца XIX – начала XX веков, сталинские репрессии, антисемитизм и прочее, и мы всегда будем помнить об этом. Однако, обращаясь к общей исторической картине, я хочу поблагодарить русский народ за великую Победу, за широкий культурный пласт, которым он наградила евреев СССР, за то, что позволили евреям репатрироваться в Израиль, и теперь здесь живут более миллиона русскоязычных граждан, оказавших колоссальное влияние на развитие государства Израиль”, - подчеркнул Перес. По его словам, “во многом благодаря репатриантам из бывшего СССР Израиль превратился из маленькой страны в географическом измерении в настоящую технологическую державу”.

Заявления израильского президента пришлись не по нраву грузинским СМИ. Так, информационно-аналитический портал “Грузия Online”, заклеил Переса “мелким подхалимом”. Издание пожелало напомнить израильскому президенту, “что не один русский народ воевал с фашистской чумой, что в войне против фашизма положили своих лучших сыновей украинцы, белорусы, латыши, литовцы, эстонцы, казахи... Грузины в этой войне потеряли 320 тысяч лучших сыновей, что среди советских республик был наивысшим показателем в процентном соотношении. Они составили 22% генофонда всего грузинского народа. Благодарности и поклоны лишь русскому народу мы рассматриваем как мелкий подхалимаж в большой политической игре, и оскорбление памяти всех тех других народов, которые положили своих сыновей в борьбе против фашизма”, - отмечается в статье грузинского издания.



Как сообщил портал IzRus, 9-10 мая Шимон Перес посетит Москву по приглашению Дмитрия Медведева. Он будет присутствовать на военном параде на Красной площади, и встретится с иностранными лидерами, которые приедут в российскую столицу, в частности с Николая Саркози и Сильвио Берлускони. Запланированы и переговоры Переса с Медведевым.

Входевизита состоится церемония награждения израильского президента дипломом почетного доктора Московского государственного института международных отношений (МГИМО). Он выступит перед студентами, преподавателями и кадровыми дипломатами. Его речь будет посвящена стратегическому партнерству России и Израиля. На 10 мая запланирован праздничный банкет с участием Переса и нескольких сот еврейских деятелей и бизнесменов России. Его организатором выступает президент Евро-азиатского еврейского конгресса Александр Машкевич

რედაქტორისაბანა: ფაშიზმი მხოლოდ რუს ხალხს რომ არ დაუმარცხებია, ეს ანბანური კომპარტიზებაა. ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში რომ ქართველმა ხალხმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა, საყოველთაოდ ცნობილია. ქართველი ხალხი არა მხოლოდ პირადად ბიჭების მამაციობით, გენერალი სიმონის სტრატეგიული აზროვნებითა და პირადი მაგალითითაც ამარცხებდა ნაცისტებს.

მსხვერპლი გაიღო სხვა ხალხმაც. „**Грузия Online**“ ზოგიერთ ხალხს ჩამოთვლის, ბევრის ხსენებას კი საჭიროდ არ მიიჩნევს. სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს ამ ხალხების იგნორირების სურვილით გააკეთა, მაგრამ თუ ამ ლაფსუსის გამო სხვას „მელოკი პაღხალიმს“ უწოდებ, თავად რატომ აკეთებ იგივეს? მეტიც: ფაშიზმი მხოლოდ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებს არ დაუმარცხებიათ, იგი ასევე დაამარცხეს ფრანგებმა, ინგლისელებმა, ამერიკელებმა და სხვა ხალხმა.

„**Грузия Online**“-მა, როგორც დაინახეთ, დიდი ინტელექტუალის, სახელმწიფო მოღვაწის შიმონ პერესის სახელი უკადრის კონტექსტში მოიხსენია. კოლეგებს უნდა შევნიშნო: როცა შიმონ პერესის ასაკისა და რანგის პოლიტიკური მოღვაწის ამ თუ იმ განცხადებას ვუკეთებთ კომენტარს, მეტი წინდახედულება და ურთიერთობის კულტურა გვმართებს. საინფორმაციო-ანალიტიკურმა პორტალმა გაწონასწორებული შეფასება უნდა გამოუშვას, იმის ანალიზის ცდა მაინც, თუ რატომ, რის გამო ითქვა ასე და არა სხვანაირად. შ. პერესის ყოველი სიტყვა, ყველაფერი გააზრებული, წარსულის გათვალისწინებითა და პერსპექტივის მიხედვით, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონეა. და როცა ასეთ უტაქტობას ვაგვლენ, ჩვენს პროფესიულ რეპუტაციას (ლირსებასაც კი) ვაყენებთ ეჭვქვეშ.

შ. პერესი საქართველოს, ქართული კულტურის დიდი დამფასებელია – თავად მომისმენია „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების, პოეტის მიხეული ანალიზი, ზეპირად წარმოთქმული სტრიქონები ამ პოემისა. არა ვგონებ, უტაქტო გამონათქვამმა რაიმე კორექტურა შეიტანოს პერესის ჩვენს ქვეყნისადმი დამოკიდებულებაში, იგი ჭირნანაბი პოლიტიკოსია, მაგრამ ჩვენ რატომ ვცდილობთ ასეთი წინდაუხედავი, მოუზომავი შეფასებით მეგობრები მოძღურავებად ვიქცეთ?

ეპრაულ სამყაროში

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჯანაშიას მიხედვით

II მაისის ისრაელის ტურიზმის მინისტრი სტას მისეჩნიკოვი შეხვდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ მინისტრის მოადგილეები ზურაბ ალაიძე, გიორგი კარბელაშვილი, საქართველოს ელჩი ისრაელში ვახტანგ ჯაოშვილი და ისრაელის ტურიზმის სამინისტროს გენერალური დირექტორი ნოარ ბარ-ნირი და სხვები.

ქართველ სტუმრებს გააცნეს ისრაელში ტურიზმის განვითარების, ამ იმფრასტრუქტურაში კაპიტალდაბანდების და სხვადასხვა ქვეყნიდან ტურისტთა მოზიდვის საკითხები.

ზურაბ პოლოლიკაშვილი გულთბილად მიიღო ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა.



სეფარტორა „კოხლონაია გორაჟი“

10 მაისის ევრაზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა და რუსეთის ებრაული კონგრესის პრეზიდენტმა იური კანერმა მერე მსოფლიო ომში დაღუპული ებრაელების სულის მოსახსენებლად მოსკოვში „პოკლონაია გორაჟი“ არსებულ ბეით ქნესეთში სეფერ თორა საზეიმო ვითარებაში შეაბრძანეს.

სეფერ თორის შერბრძანების რიტუალში მონაწილეობდნენ ევრაზიის ებრაული კონგრესის ვიცე-პრეზიდენტები: ელუარდ შიფრინი, დავით იაკობაშვილი და მერაბ ელაშვილი, აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი იური რასკინი, რუსეთის ებრაული კონგრესის ვიცე პრეზიდენტები, რაბინი ფინხას გოლდშმიტი და სხვები.

სეფერ თორის შერბრძანების ცერემონიაზე სიტყვა წარმოთქვა ალ. მაშკვიციანი.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთი დააბრუნა

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სირიაში. აქ იგი სირიის პრეზიდენტთან ბაშარ ასადთან ერთად შეხვდა „ჰამასის“ პოლიტიკურის ხელმძღვანელს ხალედ მაშალს. შეხვედრაზე მედვედევა ხაზი გაუსვა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პალესტინელთა ერთიანობის აღდგენა და „ფათხისა“ და „ჰამასის“ შეთანხმება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პლატფორმის საფუძველზე. მედვედევა ჰალედ მაშალს სთხოვა დაეჭარონ ისრაელელი ჯარისკაცის-გილად შალითის განთავისუფლება. დ. მედვედევის ჰალედ მაშალთან შეხვედრამ ისრაელის

საგარეო საქმეთა სამინისტროს გაცემა გამოიწვია – ჰალედ მაშალა ხელმძღვანელობს ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელმაც ასობით ისრაელელი დახოცა. მათ შორის ბევრი იყო რუსეთიდან გამოსული. არ შეიძლება ტერორისტების დაყოფა „კარგ“ და „ცუდ“ ტერორისტებად, ჩვენთვის ჰალედ მაშალი იგივეა, რაც ბასაევი. ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთს ჩრდილო ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში და ასეთივე მხარდაჭერას ველოდებით რუსეთისაგან „ჰამასის“ ტერორთან დაკავშირებით.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეუძლებლად მიიჩნია „ჰამასის“ მონაწილეობა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ეს საკითხი ანკარაში რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების შეხვედრისას დაისვა.

დასავლელი მხედრე ოლიგარქებთან

როგორც იუწყებიან, 10 მაისის მოსკოვში ებრაელ საზოგადოებრიობასთან შეხვედრის შემდეგ (შეხვედრაში 700 ადამიანი მონაწილეობდა) ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი ქალაქარეთ მილიარდერ ტელმან ისმაილოვის ავარაკზე გაემგზავრა რუსეთში მცხოვრებ ებრაელ ოლიგარქებთან შესახვედრად. ამ შეხვედრის ორგანიზატორი ევრაზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი ალექსანდრე მაშკვიანი გახლდათ. იუწყებიან, რომ შეხვედრაზე 20 ოლიგარქი იყო წარმოდგენილი, თუმცა, საინფორმაციო წყაროები სამ პიროვნებას ასახელებენ. ესენია: უკრაინელ-ნგლისელი ოლიგარქი ელუარდ შიფრინი, მარკ შაბაი და მულტიმილიონერი მერაბ ელაშვილი.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს

13 მაისის ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიწვიეს რუსეთის ფედერაციის ელჩი ისრაელში პეტრე სტეგენია. ელჩი მიიღო ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დანი აილონმა. დანი აილონმა ელჩს გადასცა ისრაელის მთავრობის საპროტესტო ნოტა. ისრაელი პროტესტს უცხადებს რუსეთს იმის გამო, რომ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სირიაში შეხვდა „ჰამასის“ პოლიტიკურის თავმჯდომარეს ჰალედ მაშალს.

„იზრუსთან“ საუბარში დანი აილონმა განაცხადა: – სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ ვაფასებთ და მეგობრულ სახელმწიფოდ მივიჩნევთ რუსეთს, ჩემთვის გაუგებარია, ასეთი დიდი და გავლენიანი ქვეყნის ხელმძღვანელი, რატომ შედგება ტერორისტს. ეს ხომ ართულებს სამშვიდობო მოლაპარაკების გაგრძელებას. იმედს გამოვთქვამ, რუსეთის ხელმძღვანელები აღარ გააგრძელებენ ტერორისტებთან შეხვედრებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაგრძო

მას შემდეგ, რაც ისრაელის მხარემ ერთობ კატეგორიულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისა და „ჰამასის“ პოლიტიკურის თავმჯდომარის ხალედ მაშალის შეხვედრისადმი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააგრძელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 13 მაისის გაიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვისა და ისრაელის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ავიგდორ ლიბერმანის სატელეფონო საუბარი. სერგეი ლავროვმა თავის ისრაელელ კოლეგას დაწვრილებით უამბო რუსეთის პრეზიდენტის სირიაში ვიზიტის მიმდინარეობის თაობაზე, საუბარში შეეხო მედვედევისა და ხალედ მაშალის შეხვედრას. ბ-მა ლავროვმა ბ-ნ ლიბერმანს აცნობა, რომ მედვედევა ხალედ მაშალს სთხოვა ისრაელელი ჯარისკაცის

გილად შალითის განთავისუფლება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი მხარის ინიციატივით შესდგა საუბარი. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ დაინტერესებული მხარე რუსეთი გახლდათ.

ისრაელის ქნესეთის ფრაქციის თავმჯდომარემ ზევე ელჩინმა („ლიკუდი“) გააკეთა განცხადება, რომელშიც კრემლს საჯაროდ დასდო ბრალი ორმაგ სტანდარტში.

– „ჰამასის“ მოქმედება არაფრით არ განსხვავდება ჩვენი ბოვიკების მოქმედებისაგან, რომლებიც მოსკოვის ცენტრში აწყობენ ავეთქებებს.

როგორ გააბრუნა რუსეთიდან პერესი

ისრაელის პოპულარული გაზეთი „მარივი“ იუწყება, რომ რუსეთის დედაქალაქში ისრაელის პრეზიდენტს შიმონ პერესს მუფური შეხვედრა მოუწყვეს, მაგრამ ისრაელში დაბრუნებისას პრეზიდენტს ათასი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა: ჯერ იყოდა, პრეზიდენტს პირადად მოსთხოვეს საპასპორტო კონტროლის გავლა. თქვენ თავად უნდა მობრძანდეთ იმ ფანჯარასთან, სადაც ყველა საპასპორტო კონტროლს გადისო, მერე არ დართეს ნება ბრონირებული მანქანით მისულიყო თვითმფრინავამდე. ეს გზა ფეხით უნდა გაიარათო. ეს საკითხი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ანა აზარიმ აეროპორტის ჩინოვნიკებთან დიდი კამათი გამართა. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი თვითმფრინავში ავიდა, მას ერთი საათი არ მისცეს გაფრენის ნებართვა.

„მარივი“ წერს, რომ რუსები შეეცადნენ ისრაელის პრეზიდენტი ისევე დაემცირებინათ, როგორც თავიანთი მოქალაქეებს ამცირებენ.

შიმონ პერესის კანცელარიიდან „მარივს“ განუცხადეს, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავი ნახევარი საათით დაყოვნეს და პრეზიდენტს არა-რა პრეტენზია არა აქვს რუსული მხარისადმი.

ლავროვ და ელი მილიბანდების გზა

მას შემდეგ, რაც დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ არჩევნებში მარცხი განიცადა და მთავრობის შედგენა ვერ შესძლო, პარტიის თავმჯდომარემ გორდონ ბრაუნმა დატოვა პრემიერ მინისტრის პოსტი. მან განაცხადა, რომ სექტემბრამდე ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეობაზეც იტყვის უარს. ამ პარტიის ლიდერობისთვის საბრძოლველად ორი ებრაელი იბრძოლებს – ძმები დევიდ და ელ მილიბანდები.

მილიბანდების დედა მარიონ კოზევი პოლონეთში დაიბადა, მამა – აწ გარდაცვლილი რაფელ მილიბანდი კი ემიგრანტია ბელგიიდან. ამ ოჯახმა პოლოკოსტის წლებში 80 ნათესავი დაკარგა.

პრეზიდენტების წინადადება უარყვას

რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ანკარაში ვიზიტისას დ. მედვედევა და თურქეთის პრეზიდენტმა აბდულა გულამ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში უსათუოდ უნდა იქნას ჩართული „ჰამასი“

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს (12 მაისს) უარყვეს ორი პრეზიდენტის იდეა.

განცხადებაში ნათქვამია: „ჰამასი“ ტერორისტული ორგანიზაციაა. იგი მიზნად ისახავს ისრაელის სახელმწიფოს მოსპობას. ტერორისტებთან მოლაპარაკება მიზანშეუწონელია.

იოსებ (სოსო) მოშიაშვილი – ავტონომიური გზით ქვეყნის ახლადარჩეული გაბაი

გასულ კვირაში აშქენაზ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაი ელგუჯა ჯანაშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად უდგებოდა თავის მოვალეობას, გადადგომა მოითხოვა. გაბაიდ აირჩიეს იოსებ (სოსო) მოშიაშვილი.

ი. მოშიაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1949 წელს. 1966 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. გაიარა სამხედრო სამსახური.

1973 წელს, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მუშაობას იწყებს კვლევით ინსტიტუტში.

1977 წლიდან მუშაობდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თბილისის ექსპერტიზის ბიუროში უფროს ექსპერტად.

1994 წლიდან 2007 წლამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაიო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე.

ყავის მეურნეობა და ორი ვაჭი. უფროსი – აშშ-ში ქ. ფილადელფიაში მოდერნიზაციის, მეორე თბილისში – ექიმი სტომატოლოგი-ორთოპედა.

2010 წლის მაისში რაბინათისა და ჯამათის სურვილით არჩეული იქნა თბილისის აშქენაზთა ბეით ქნესეთის გამგეობის თავმჯდომარედ ანუ გაბაიდ. პარალელურად სწავლობს იემშიაში.

ს(ო)ს(ო) მოშიაშვილი: – გულწრფელად გეტყვით მიყვარს მუშაობა და ხალხთან ურთიერთობა. ვფიქრობ, თუ იქნება უფლის ნება, ძალას არ დავიშურებ თავი გავართვა იმ რთულ საქმეს, რასაც ჯამათის თავმჯდომარეობა ჰქვია.

ვინაიდან ჯამათმა ნდობა გამომიცხადა, მინდა პირნათლად შევასრულო დაკისრებული ვალდებულებები, კარგი ურთიერთობა მქონდეს ჯამათთან, სწორად ვმართო სინაგოგის საქმეები, გაეწვევს ყველა იმ საქმეს რაც გაბაის ევლება და რაც შეიძლება მეტი სახსრები მოვიზიდო გაჭირვებულების დასახმარებლად.

მიუხედავად იმისა, რომ სინაგოგა სულ ახლახანს აშენდა, კიდევ ბევრია გასაკეთებელი: ღმერთის შეწვევით აშენდება მიკვე მამაკაცებისათვის, მოწესრიგდება ეზო, სუქის დასადგმელად ჩატარდება საჭირო სამუშაოები და სხვა.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი შრომა, ცოდნა, გამოცდილება და მატერიალური სახსრები არ დაიშურა იმ დიდი საერო-სასულიერო საქმის წარმართვისათვის, რაც აუცილებელი იყო ამ შესანიშნავი ქმნილების შესაქმნელად. დიდი მადლობა მათ ვინც მოიპოვა სახსრები და ვინც იგი წარმატებულად გამოიყენა.

ვფიქრობ, ღვთის წყალობით კარგად გავუძლებდი ამ საქმეს.



ქართული ებრაელობა შინ და გარეთ

ახალი თაობა



რუსეთის ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში – საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ებრაული კლუბი, რომელსაც ფურცელში ეწვივნენ რუსეთის მთავარი რაბინი ბერლ ლაზარი და მეცენატი – გეორგი ელაშვილი. გ. ელაშვილი კლუბს მატერიალურ დახმარებას უწევს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში.

ჩვენი გაზეთის სტუმარია საერთაშორისო ბიზნესისა და საკომანი ადმინისტრირების ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ისაკ ბენ-ელი, რომელიც ხანუქაში კლუბის ვიცე-პრეზიდენტად არჩიეს.

– ისაკ, გვიამბო როდის შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობების მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის ებრაული კლუბი და რამდენ წევრს აერთიანებს იგი?

– კლუბი შეიქმნა 2008 წლის 14 აპრილს. მისი დამაარსებელი და კლუბის პრეზიდენტი დავით პელევი. ამჟამად ჩვენი კლუბი უნივერსიტეტის სამოცდაათზე მეტ ებრაელ სტუდენტს აერთიანებს. უნივერსიტეტში ოცდაათამდე სხვადასხვა ეროვნული გაერთიანება არსებობს, მაგრამ ებრაული კლუბი 2009 წლის შედეგებით ყველაზე აქტიური იყო.

– კლუბის არსებობის მანძილზე რა ღონისძიებები ჩატარდა?

– ჩატარდა 30-ზე მეტი ღონისძიება, მე მხოლოდ ზოგიერთზე შეგერდები. ჩვენთან ლექციები წაიკითხეს ისეთმა ცნობილმა მოღვაწეებმა: ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის პრეზიდენტმა ევგენი სატანოვსკიმ, მეცნიერმა ალექსანდრე ვაშკინმა, ისრაელის ელჩმა რუსეთში ანა აზარიმ. ასევე განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ ჰა-შანაში რაბინ ფინას ვოლდმბილდის, ხანუქაში რაბინ დავით ოუშუევეის და სინაგოგა „იცხაკის კარავის“ მთავარი რაბინის მამია ბოთერაშვილის, ფურცელში რუსეთის მთავარი რაბინის ბერლ ლაზარის ვიზიტები ჩვენს კლუბში. ბერლ ლაზარი პირადად მიიღო უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკის პროექტორმა ვალერი ვორობიოვმა. რუსეთის მთავარი რაბინის შეხვედრა რექტორთანაც იყო დაგეგმილი, მაგრამ სწორედ ამ დროს ანატოლი ტორკუნოვი რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის ერთად ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში საფრანგეთში იმყოფებოდა. ფესასში ჩვენ კვლავ გვეწვია რაბი მამია ბოთერაშვილი და ებრაული ახალგაზრდობის საგანმანათლებლო ორგანიზაცია „სტარსის“ აღმასრულებელი დირექტორი რაბი არიე მირეცი. მას მოზარდ თაობასთან

ებრაული საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი გამოცდილება გააჩნია და ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს. რაბინი ბერლ ლაზარი კლუბს პირად თანადგომას უწევს. მას ძალიან გაეხარდა ამ გაერთიანების შექმნა და სიამოვნებით დათანხმდა ჩვენთან მოსვლაზე. მომავალში ჩვენ ასევე გვეგმავთ ბიზნეს ღონისძიებების ჩატარებას და ცნობილი ებრაული ბიზნესმენების მოწვევას, რათა მათ გვიამბონ თავიანთი მოღვაწეობის შესახებ და გამოცდილება გაგვიზიარონ.

– კიდევ რაში მდგომარეობს კლუბის სამომავლო გეგმები და მიზნები?

– ჩვენი ძირითადი მიზნებია: ებრაული საზოგადოებრიობის მომავალი ელიტის – პასუხისმგებელი და შორსმჭვრეტელი ლიდერების, სხვადასხვა სფეროში გამოცდილი სპეციალისტების გაერთიანება; ებრაული თვითშეგნების განვითარება, ებრაულ კულტურასა და ტრადიციებთან, ოუდაიზმთან გაცნობა; ისრაელის შიდა და საგარეო პოლიტიკის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესწავლა; რუსეთში და კერძოდ ჩვენს უნივერსიტეტში, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი ცენტრია, ებრაული ღია სპორისა და ისრაელის დადებითი იმიჯის ფორმირება. უახლოეს მომავალში ვაპირებთ კლუბის ინტერნეტ-საიტის შექმნას. პარალელურად ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია დაგეგმარო სტუდენტებსა და საერთოდ ყველა მსურველს თორისა და ივრითის შესწავლაში. თავისი არსებობის მანძილზე კლუბმა ბევრის გაკეთება მოასწრო, მაგრამ მიღწეულზე შეგერდეს არ ვაპირებთ და ჩვენს მოღვაწეობას უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთაც ვავითარებთ. ვითანამშრომლებთ მოსკოვისა და რუსეთის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ებრაელ სტუდენტებთან. გარდა ამისა, ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა ებრაული სტუდენტების ევროპული კავშირი, აშშ-ს, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდული ებრაული გაერთიანებები.

– დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის, ვისურვებთ წარმატებებს სწავლასა და თქვენი კლუბის მოღვაწეობაში.

– გმადლობთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და „წამის“ მკითხველს მოულოცო ისრაელის დამოუკიდებლობის დღე. **გაზეთი „წამი“ №5**

აბხაზ ენაში: მოსაოვში ოჩი ათხაშაძე ქართული ებრაელების ოჯახში



თბილისში იმყოფებოდა მოსკოვის ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი აბრამ ელაშვილი. ჩვენს დელეგაციასთან იგი ვაქცილიყის დანიშნულთან დაკავშირებით ჩამოვიდა. როდესაც „მინორას“ კორმსპონდენტი ვახუშტი და ოჯახის ცხოვრებაში ის მნიშვნელოვანი მოვლენა მიულოცა, გატონმა აბრამმა დიმიტრია და სიამაყით თქვა: „ძალიან გმადლობთ რაბი საქართველოდან წავსვლას და მადლობა დამიხარდა, რომ ასე მიხვდა“.

საუბარი კი ტრადიციული შეკითხვით დაიწყო.

სალოცავში ლოცულობენ. ძირითადი მანც არხიპოვის ქუჩასა და მარინა რომასოვი ქუჩებზე მოქმედი ბეთ ქრესთიებია.

– როგორია მოსკოვის ქართველი ებრაელების ჯამათის ცხოვრება, როგორ დაახასიათებთ მას?

– როგორ გითხრათ, როდესაც ჩვენი, მადლობა დემეტრის, კარგად იყვნენ, თუ არ ჩავთვლით იმ კრიმინალურ შემთხვევებს, რომელიც მოსკოვში სწორედ ხდებოდა, რაც ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებდა, როგორც რაბინზე. შესაძლოა, ბევრს ვერც გაეძლო და უკან წამოსულიყო, თუმცა, მე პირიქით, მიწოდდა შემდგომადგვარად გამომგვრებინა ჯამათი, გამეწვია სხვადასხვა დახმარება.

მადლობა დემეტრის, დღეს მოსკოვის ჯამათი თუნდ რელიგიურ ან სხვა საკითხებში საკმაოდ უშვობენ მდგომარეობაშია.

მეც, როგორც ახალგაზრდა რაბი, შევეცადე ყველა საკითხში დავდგომოდი ჯამათის მხარეში, არ ვგულისხმობ მხოლოდ სულიერ ხელმძღვანელობას. თუ ადამიანს შენი ჯამათისთვის დახმარება გსურს, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. მეც ყოველთვის მზად ვარ და ჯამათიც მიფარებს.

– რამდენად ვიცით, ორივე წლის წინათ მოსკოვის ქართველი ებრაელებისათვის გაიხსნა კიდევ ერთი ბეთ ქრესთი. რას გვეტყობთ ამ ბეთ ქრესთის თაობაზე?

– ეს ბეთ ქრესთი ძებმა – მერაბ და ვია ელაშვილებმა გახსნეს თავიანთი სიძის გვერდში ამოღებით. დიდებულ საქმეს აკეთებენ ეს ახალგაზრდები არა მხოლოდ ლოცვის გამძლეობით, არამედ ქველმოქმედების კუთხითაც. ეს ბეთ ქრესთი – „იცხაკის კარავი“ მათი მამის ნეშტის სახელზე გაიხსნა და უკვე გამოირჩევა.

– თქვენ საკმაოდ აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეით. ამით, რასაკვირველია, რაბის და ლოცვის ავტორიტეტი მადიდება. რა არის ამ შემთხვევაში თქვენი დევიზი, მთავარი მამოძრავებელი ძალა?

– სიმართლე გითხრათ, ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა სხვა ადამიანებზე ზრუნვა, მათი დახმარება. ეს იქნებოდა ნათესავი, მეზობელი თუ მეგობარი. არ არის აუცილებელი ადამიანს მხოლოდ მატერიალურად ედგე გვერდში. ჯამათის ბევრი სჭირდება. ყველანაირად შეიძლება ადამიანების დახმარება. კარგი სიტყვით, თუნდაც ფიზიკური დახმარებით,

რა თქმა უნდა, თუ ადამიანი გასაჭირშია და მას მორალური მხარდაჭერა სჭირდება, აუცილებლად ამითაც უნდა დაეხმარო. თორავც წერია, რომ სხეული და სული ერთმანეთთან არის დაკავშირებული და არ შეუძლია ერთი მეორეს გარეშე არსებობა.

რაბი მხოლოდ ის არ არის, ვისიც უნდა გეშინოდეს. პირიქით, ვთვლი, რომ რაბი უნდა იყოს ასევე ჯამათის მეგობარი და არა მხოლოდ სულიერი ხელმძღვანელი, ჯამათის წევრებს უნდა შეეძლოს ჩემთან მოსვლა. მინდა გითხრათ, რომ სწორედ ამ მიდგომამ მოიყვანა დღეს ბევრი ახალგაზრდა სალოცავში. სხვათა შორის მიხარია, რომ მათ მოსწონთ ჩემთან საუბარი, ურთიერთობა, აზრების გაცვლა.

– ფაქტია, რომ დღევანდელ ქართველ ებრაელთა სამყაროში დომინირებს კულაშელი ებრაელობა, მე ვგულისხმობ მიზნებს, ქველმოქმედებას. თქვენ, როგორც რაბის, რა მიგაჩნიათ მათი ასეთი წარმატების მიზეზად?

– მე არაერთხელ მსმენია და ყველა აღიარებს იამას, რომ კულაშელები, მართლაც მეტად და მეტად მაგალითის მიძეციები არიან, თავიანთ არაერთი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმის წყალობით. მაგრამ მე მაინც ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ კულაშელები ნასიათდებიან ამ თვისებებით. საბედნიეროდ, სხვა კუთხეებიდან, ქალაქებიდან გამოსულთა შორის არიან, ასე ვთქვათ, ჯამათის ძვირფასი თვალი.

მინდა გითხრათ, რომ რელიგია თავისთავად ეხმარება ადამიანს იმაში, რომ ადამიანი იქნება იგი ბიზნესმენი, სწავლული თუ სხვა, წარმატებული იყოს და ამას დღესდღეობით ძალიან ბევრი მიხვდა.

ვთვლი, რომ ადამიანების წარმატებაში უდიდესი როლი ითამაშა მათმა დამოკიდებულებამ რელიგიისადმი.

თორა ადამიანს გულმონწყალებას აძლევს, ხოლო როდესაც გულმონწყალებას იძენ, იგი ყველასათვის გაქვს.

და საერთოდ გამჩენის წყალობით, არაერთი კეთილი და კარგი ადამიანი არსებობს, რომელიც ძალიან გვეხმარება.

– რას გვეტყვით თბილისის ჯამათზე?

– სადაც ერთობა და სიყვარულია, იქ არსებობს სიძლიერე. ვფიქრობ, მეტი ერთობა სჭირდება საერთოდ ნებისმიერ ჯამათს.

ბევრი სიკეთე დავინახე აქ, ბევრიც კეთდება გამჩენის წყალობით, დავათვალიერე სკოლები და ბევრი წინსვლა დავინახე.

როგორც ვიცი, ბევრ ახალგაზრდას უშვებენ ისრაელში. და სწორედ ხანშიშესულებს ვეტყვი, ახალგაზრდებს უფრო მეტად შეუწყონ ხელი, რადგან დიდი პოტენციალი აქვს ახალ თაობას.

– ძალიან დიდი მადლობა გულთბილი საუბრისთვის. ვთხოვთ თქვენს ჯამათის გადასცეთ კეთილი სურვილები. წარმატება არ მოკლებოდეთ მათ.

– ამინ!!!

მთარგმნა ლილია ხომენკო

– ვთხოვთ ჩვენს მკითხველს გააცნონ თქვენი თავი, რა გზა გაიარეთ სანამ მოსკოვში დაიწყებდით მოღვაწეობას?

– 1971 წელს საქართველოდან ისრაელში რომ წავიდი, 7 წლის ვიქნებოდი. ისრაელში ქ. ლუდის იემივაში დავიწვეე სწავლა. რამდენიმე წლიანი სწავლის შემდეგ სასწავლებლად „ქეფარ საბადში“ გადავიდი, პარალელურად თვითმფრინავმშენებლობის სპეციალობა შევიძინე. შემდეგ სამი წელიწადი ისრაელის არმიამ ვმსახურობდი. ვარ ლიბანთან ომის მონაწილე. ამავე პერიოდში შევირთე ცოლი და მცირე ბიზნესს მოვიკიდე ხელი, თელ-ავივში გავხსენი მაღაზია. მერე კვლავ თვითმფრინავმშენებლობის ქარხანას დავუბრუნდი. ეს ყველაფერი შუა კვირამი ხდებოდა, შაბათს კი ჯამათის ვემსახურებოდი. ეს ის პერიოდი, როცა მოსკოვში თავს იყრის დიდძალი ქართველი ებრაელობა და იმის გამო, რომ ხახამი იოსები დაიღუპა, არ ჰყავდათ სულიერი ხელმძღვანელი.

1998 წელს გამომიძახეს მოსკოვში და შემომთავაზეს დამეკავებინა რაბის – აწ განსვენებული უპატონისეხი ადამიანის ხახამი იოსების ადგილი, ამ მიწვევის ინიციატორები იყვნენ მამიახ და ამირან ბოთერაშვილები.

რა თქმა უნდა, რევიასთვის რაბი ხახამ რეფაელს მივმართე, რომელიც მოგესხნებოდა, ბიძაჩემი გახლდათ, ბიძაც არა ყოფილიყო, იგი ერთობ გონიერი რჩევის მოძეცი რაბინს იყო. მან მითხრა, რომ ალბათ, გამჩენის სურვილია, რომ ჩვენი ოჯახი ჯამათის გვერდით იდგეს და მის სულიერ ცხოვრებას ხელმძღვანელობდეს.

1998 წელს 7 იანვარს ჩავიდი მოსკოვში. რა თქმა უნდა, იქ ჩასულს უამრავი პრობლემა დამხვდა. მადლობა დემეტრის, იყვნენ ადამიანები, რომლებიც დამეხმარნენ, მომაცვეს და მეც, რა თქმა უნდა, ალღო ავუღე ყველაფერს.

– დაახლოებით რამდენი ქართველი ებრაელი არის დღეს მოსკოვში?

– 1500-2000 ოჯახამდე. ქართველი ებრაელის ოჯახი 5

თამარის მკაცრობითი იერუსალიმში ქართული სიძველეების თხოვნა

— ქრო თამარა, რამდენი წელიწადი იერუსალიმში ქართულ სიძველეებს იკვლევთ. რაოდენ კმაყოფილი ხართ გაქვეყნებული სამუშაოთი — რა არის აღმოჩენილი ამ დროისთვის?

— ყოველ წელს რაღაც ახალი ჩნდება. უკვე დადასტურებულია 38 ქართული მონასტერი. აქედან სრულიად უცნობი — ფურტაის მონასტერი, რომელიც იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა სოფელ უმლივიზში აღმოჩნდა. ეს მონასტერი ებრაელ არქეოლოგებთან ერთად აღმოვაჩინეთ, რომლებთან ერთადაც ორი წლის მანძილზე ვატარებდით გათხრებს. იქ არის ერთ-ერთი უძველესი არაჩვეულებრივი V საუკუნის დასასრულისა და VI საუკუნის დასაწყისის ქართული წარწერა. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ აქვე დასახლებულია ეთნონიმი — ქართველი, რაც საქართველოში ამ დროისთვის არ დასტურდება. ეთნონიმი ქართველი ჩნდება მხოლოდ VIII საუკუნის შემდგომ საქართველოში. ასე რომ პირველი დადასტურება იერუსალიმშია. პილიგრიმებისა და XIX-XX სს-ში, ქართველ მეცნიერთა იერუსალიმში მუშაობის შედეგად ცნობილია, რომ ჯვრის მონასტრის საცავში ინახებოდა 400-ზე მეტი ხელნაწერი, არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ არაბულ, ბერძნულ, სირიულ ენებზე. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი დღეს ბერძნულ საპატრიარქოშია გადატანილი და იქ ინახება. საცავი მართლაც კარგი აქვთ, თუმცა, ახლა სამწუხაროდ, მხოლოდ 161 ხელნაწერია დარჩენილი. ამის გარდა ვიპოვეთ ერთი უცნობი ხელნაწერი, რომელსაც ხელნაწერის ბოლოს ანდერძი აქვს დართული, სადაც წერია, რომ ამ ხელნაწერს ჰქვია „ოქროს ოთხთავი“. ნაწერი, ფურცლების უმეტესობა ოქროს მელნითაა დაწერილი. ასევე 48 მინიატურა, რომელიც ასევე ოქროსა და დამბრუნებული ხელნაწერი მონასტრის ორი მხატვრის მიერ. 14 მინიატურა ერთს აქვს შესრულებული, დანარჩენი კი მორეცხი. ორივე მხატვარი ქართველია, როგორც წესი ქართულ ხელნაწერებში მხატვრები თავიანთ სახელს არ ტოვებდნენ. მათ ძირითადად გადააწყვეტენ ტოვებენ. ერთი მხატვრის ნამუშევარი თავისი სტილით ქართულია, მეორე კი კლასიკური ბიზანტიური სტილის მიმდევარია.

2006 წლიდან დავიწყეთ პეტრე იბერის კვლის ძიება. პეტრე იბერი მოგვსახელებათ მიუღ ახლო აღმოსავლეთში დიდი მოღვაწე და ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ. იგი იყო უგანათლებლესი და ძალიან დიდი ძალაუფლებაში მქონე ადამიანი. პეტრე იბერი პალესტინაში ორ სამეფო ოჯახს წარმოადგენდა. პირველი — იბერია იყო, მეორე კი — ბიზანტია გახლდათ — სადაც იგი 12 წლიდან მიქელად იყო გაგზავნილი, თუმცა იმპერატორიც და მისი მეუღლეც — ეგვიპტეა, მას როგორც შვილს ისე ექცეოდნენ. ფაქტიურად, პალესტინაში იგი ბიზანტიიდან გააპარვის შემდეგ მოხვდა. ლეთისმასხურების გზაც მან კონსტანტინოპოლშივე აირჩია. მის უკან ბიზანტიის სამეფო იდგა, რომელიც პრინციპში მას დიდ დახმარებასაც უწევდა. მისი გამო, რომ გაურკვეველია, ასე ვთქვათ, მისი მსოფლმხედველობა, ძალიან ხშირად იგი მივიწყებულა არის ამ მხრივ და მის შესახებ ძალიან ცოტა ცნობაა შემორჩენილი.

ჩვენ შევეცადეთ მოგვეძებნა მის მიერ აგებული ტაძრები. ფაქტიურად, სამი წელი ვიმუშავეთ.

პირველი მონასტერი პეტრე იბერიის 1953 წელს იტალიელმა მეცნიერმა კორბო სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა. მან გათხარა ბეთლემსა და იერუსალიმის შორის არსებული ბორცვი, რომლის სახელწოდებაც ბირ-ელ-კათი გახლავთ. სრულიად შემთხვევით გათხრების დროს კორბომ არაჩვეულებრივ ქართულ მოზაიკურ წარწერებს მიაგნო. ამით პირველად, ასე ვთქვათ, გამოჩნდა პირველი მონასტერი პეტრე იბერიისა. ეს წარწერები დღემდე ფრანცისკელებთან ინახება, რადგან კორბო თავად ფრანცისკელი იყო. ფრანცისკელებს იერუსალიმში უნივერსიტეტაც აქვთ და ძალიან დიდი ბიბლიოთეკა კვლევითი ცენტრია.

მეორე მონასტერი, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ, როგორც უკვე ვთხარათ, არის უმღვიზში.

მესამე მონასტერი, რომელიც ამდენ ხანს კამათის ობიექტი გახლდათ და დღეს უკვე ვთვლი, რომ საკამათო აღარ უნდა იყოს — იაკობის უზარმაზარი მონასტერია, რომელიც იერუსალიმში, ძველ ქალაქში, სიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და დღეს სომხებს ეკუთვნის. ამ მონასტრის ქვედა ფენა აშენებული უნდა იყოს პეტრე იბერის მიერ. ამის დადასტურებაში დაგვეხმარა ერთი ქართული ხელნაწერი, რომელიც იერუსალიმური წარმოშობისაა და ახლა პეტრე ბურგში ინახება. ამ ხელნაწერს არაბული მინაწერი აქვს, რომლის მიხედვითაც XI საუკუნეში ქართველმა მეფემ ამ ახლადამაშენებული მონასტრისთვის გადააწერინა ხელნაწერი, რომელიც ძალიან მდიდრულად შეამკო, წმინდა სტეფანეს წმინდა ნაწილები ჩაატანა და უძღვნა ამ მონასტერს.

აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ არაბობის დროს ქრისტიანებს უფლება არ ჰქონდათ აეშენებინათ ახალი მონასტერი. მათ მხოლოდ განახლება შეეძლოთ. ასე რომ დღევანდელი სომეხთა იაკობის მონასტრის ტერიტორია ქართველთა კუთვნილება რომ არ ყოფილიყო XI საუკუნეში ქართველი მეფე ხელნაწერს ამ მონასტრის არ შესწირავდა.

როდესაც პეტრე იერუსალიმში ჩავიდა იგი ორი წელი ელეონის მთაზე ცხოვრობდა, მეღანია უმცროსთან. ეს გახლდათ რომელიც არისტოკრატი ქალი, რომელსაც ელეონის მთაზე თავის მუულებთან ერთად ორი მონასტერი ჰქონდა — მამათა და დედათა. იოანე ლაზთან ერთად პეტრე იბერი 2 წლის მანძილზე იქ მოღვაწეობდა. ამის შემდეგ უკვე პე-

ტრე ელეონის მიიდან ჩამოიღის, შედის ძველ ქალაქში და პირველად სახლდება დავითის კოშკთან ერთ-ერთ მღვიმეში. იმავდროულად პატარა თავშესაფარს აარსებს იოანე ლაზთან ერთად. ქართველი და არა მარტო ქართველი პილიგრიმები, რომლებსაც დახმარება სჭირდებოდათ, აქ პოვებდნენ თავშესაფარს. ცოტა ხნის შემდეგ გადაწყდა მონასტრის აშენება. როგორც წყარო გვუბნება, სწორედ ეს მონასტერი უნდა იყოს დავითის კოშკის მოპირდაპირე მხარეს, როდესაც მიდიხარ დავითის კოშკიდან მარჯვნივ სიონისკენ. აღმოჩნდა, რომ ეს ის ადგილია, სადაც დღეს დგას იაკობ დაჭრილის მჩქეთი. ეს მჩქეთი დღესაც მოქმედია, თუმცა უცნაურია მისი სახელწოდება.

იაკობ დაჭრილი არის ქრისტიანი მოწამე. ამდენად მჩქეთს ჰქვია ამ მოწამის სახელი. იაკობ დაჭრილი სპარსულ მოწამეთა რიგს ეკუთვნის. მიუხედავად იმისა, რომ დავითის კოშკთან ძირითადად ქრისტიანი მოსახლეობაა, ამ მჩქეთის გარშემო მუსლიმები ცხოვრობენ და მასსოვს 2008 წელს, როდესაც იქ ვიმყოფებოდი, ვიკითხე, თუ ვინ იყო მათთვის, მუსლიმებისთვის იაკობ დაჭრილი. მათ მაშინვე გამომიცხადეს, რომ როგორც ქრისტე არის მუჰამედის მოციქული, ასე არის იაკობიცო. პეტრე იბერის ცხოვრებისა და მიხედვით, ეს ის ადგილია, სადაც პეტრემ ააშენა პირველი მონასტერი და შიგ დასვენა წმ. იაკობის ნაწილები. პეტრე იბერმა თავისი სიცოცხლის ბოლოს იაკობ დაჭრილის წმინდა ნაწილები ეგვიპტეში გადაიტანა, ალექსანდრიის მახლობლად, სადაც მისივე სახელობის მონასტერი ააგო. როგორც ჩანს, იერუსალიმურ ტრადიციაში დღემდე შემორჩენილია ამ ადგილთან დაკავშირებული იაკობ დაჭრილის სახელი, რაც პეტრე იბერს უკავშირდება.

საერთოდ იერუსალიმში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ მეხსიერებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ხშირ შემთხვევაში დღესაც წყაროზე მეტ ცოდნას გვაძლევს. ამ ადგილს ეს სახელი იმიტომ შერჩა, რომ ეს წმინდა ნაწილები იერუსალიმში იყო დასვენებული. საინტერესოა ის არის, რომ ამ მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვრის საფლავის ქვა აღმოჩნდა 1932 წელს ქალაქის გარეთ, დღევანდელ დასავლეთ იერუსალიმში, სასტუმრო „ქინე დევიდის“ პირდაპირ ახალგაზრდული ცენტრის ბაღში. სწორედ ამ შენობის მშენებლობის დროს აღმოჩნდა სამარხები, რომელიც ძვ. ქრისტიანულ სასაფლაოს ეკუთვნოდა. აქ აღმოჩენილია სამუელ ეპისკოპოსის საფლავი. სადაც წერია, რომ ეს არის დავითის კოშკთან პეტრეს მიერ აშენებული, ქართველთა მონასტრის წინამძღვრის საფლავი. სამუელ ეპისკოპოსის წარწერა ბერძნულენოვანია. შეიძლება ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, თუ რატომ არის ეს წარწერა ბერძნული. აქ ორი რამ შესაძლოა დაგუშვათ: ერთი რომ ეს მონასტერი იყო ინტერნაციონალ-

ბირ-ელ-კათის კვლევა იბერიის მონასტრის ერთ-ერთი ნარჩარი



ფოტო დათო ცხადაძის

ური. სირიულშიც და ქართულ ცხოვრებაშიც წერია, რომ პეტრემ ააგო ეს მონასტერი ქართველი და ბერძენი მღვიმისთვის. თუმცა ჩემი აზრით, ბერძნულადაა დაწერილი, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს საფლავი იყო საერთო ქრისტიანულ სასაფლაოზე. ლინგვა ფრანკა იმ დროს არამეული და ბერძნული იყო, ამიტომ შესაძლებელია წარწერა ქართულად ამიტომაც არ არის. ყოველ შემთხვევაში ეს წარწერა დღემდე არსებობს და ინახება იერუსალიმის როკფელის მუზეუმში. იგი ერთ-ერთ საუკეთესო ექსპონატად ითვლება.

უმღვიზის წარწერა ასევე როკფელის მუზეუმში, მის საცავში ინახება. ეს გახლავთ უზარმაზარი წარწერა, ხოლო მოზაიკა, რომელიც აქვე ვიპოვეთ ასევე გათხრების დროს, როკფელის მუზეუმის გარედან კედელზეა მოთავსებული.

როგორც უკვე მოგასხენეთ, პირველი მონასტერი არის დავითის კოშკთან იაკობ დაჭრილისა და მეორე ქალაქის გარეთ, წმინდა ქალაქთან ახლოს. ჩემი ვარაუდით, ეს არის დღევანდელი ჯვრის მონასტრის ადგილი, რომლის ქვეშაც იყო ქვედა ფენა. ეს ფენა, მართლა რომ არსებობდა, ნამდვილად ვიცით, იმიტომ რომ ეს ადგილი 1970—1971 წწ-ში ბერძნებმა გათხარეს. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს გათხრები ჩაატარეს იმ მიზეზით რომ კიდევ ერთხელ დაედასტურებინათ, რომ ჯვრის მონასტერი თავიდანვე მათი იყო, შემდეგ დაიკავეს ქართველებმა და მერე კვლავ თავის პატრონს დაუბრუნდა.

ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ გათხრებს ძალიან ცნობილი არქეოლოგი და მართლაც, კარგი მეცნიერი ატარებდა, მან სამწუხაროდ, მხოლოდ სამ გვერდანი ანგარიში გამოაკეთა. მართალია მინაწერში ჰქონდა მითითებული, რომ სრული ანგარიში მალე იქნებოდა წარმოღებნილი, მაგრამ სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა, არაფერი

დაუწერია.

აქვე, საკურთხეველში არსებობდა ქვედა ფენაში ჩასასვლელი, რომელიც დღეს დახურულია. ფაქტიურად, ამჟამად ქვემოთ ჩასვლის არანაირი საშუალება აღარ არის, თავიდან გათხრაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ზედმეტია, ამის უფლებას არავენ მოგვეცემს. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რათა ითქვას, რომ ეს ბერძნული იყო. თუმცა არანაირი წარწერა, არაფერი აქვთ გამოქვეყნებული. აგრეთვე არანაირი ბიზანტიური წყარო არ არსებობს მე-18 საუკუნემდე, სადაც ნათქვამი იქნებოდა, რომ ამ ადგილას იყო ძველი ბერძნული მონასტერი. მხოლოდ მე-18 საუკუნიდან იწყებენ ბერძენი თავიანთ ისტორიას, სადაც წერენ, რომ ეს მონასტერი მათია. მანამდე ამაზე ლაპარაკიც კი არ არის. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ქართული წყაროები ამ ადგილას ერთი გადმოცემით მეფე მირიანმა ააშენა, შემდეგ უკვე ვახტანგ გორგასალმა გააფართოვა, ხოლო XI ს-ში ააგო პროზორე შავშულმა ბაგრატ IV-ის დახმარებით. თუმცა ამ ადგილას XI ს-ში მონასტერი ვერ აშენდებოდა, თუ ეს მიწის ნაკვეთი ქართველთა კუთვნილება არ იქნებოდა. ამიტომ ვფიქრობ, რომ პეტრე იბერის ცხოვრებაში ნახსენები მონასტერი, რომელიც ქალაქის გარეთ ააგო პეტრე იბერმა არის დღევანდელი ჯვრის მონასტრის ქვედა ფენა. ყველა მის მიერ აშენებულ მონასტერს იბერთა მონასტერი ერქვა. მხოლოდ XI საუკუნეში, როდესაც პროზორემ აღადგინა ძველი, მას დაერქვა ჯვრის მონასტერი. არსებობს ლეგენდა, რომ ეს არის ის ადგილი, სადაც ლიტმა ჩარგო სამი რტო თავისი ცოდვების მოსანანიებლად. შემდეგ სოლომონ მეფემ მოაჭრევინა ეს ხე ტაძრის მშენებლობისთვის. ეს ხე მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმისთვის გამოიყენეს.

სხვათა შორის პროზორე თავის ერთ-ერთ მინაწერში ამ ლეგენდაზე საუბრობს. პროზორე შავშულმა ჯვრის მონასტრის პირველი წინამძღვარი იყო. პირველი ცნობა, თუ რა ადგილას ააშენა მან მონასტერი თარიღდება 1038 წლით ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში.

ცნობილია ისიც, რომ ამ პერიოდში ქართველებს არაბებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ. არსებობს მე-10 და მე-11 საუკუნეების ცნობები, საუბარია აღმოსავლურ წყაროებზე, სადაც წერია რომ ქართველებს გარკვეული მოლაპარაკებები ჰქონდათ არაბებთან ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ერთი არის სპარსულენოვანი წყარო, მეორე კი — არაბული. მეორე წყაროდან ასევე ცნობილია, რომ ნილოსის არხის ერთ-ერთ დღესასწაულს ქართველი უფლისწულები ესწრებოდნენ. სავარაუდოდ, ისინი ალბათ ბაგრატ IV-ის ვაჟები უნდა იყვნენ. იმ დროს იქ, არც ერთი ქრისტიანი მეფის წარმომადგენელი არ იყო — მხოლოდ მუსლიმები და ესეც მეტყველებს იმ გარკვეულ ურთიერთობაზე არაბებთან, რომელიც აგრეთვე ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ არაჩვეულებრივ ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ. ეი საჭიროების შემთხვევაში ქართველები ახერხებდნენ, როგორც არაბებთან ასევე სხვებთან ძალიან საინტერესო ურთიერთობებს. ისინი ფაქტიურად, თავიანთი ერთმორწმუნე ბიზანტიის წინააღმდეგ მოქმედებენ, რითაც შემდეგ ახერხებენ ადგილების მოპოვებასა და მონასტრების აშენებას.

ჯვრის მონასტერი, საუბარია ამ მონასტრის ქვედა ფენაზე პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა აიშენეს თავისთვის. მიუიღ ცხოვრების მანძილზე, დროდადრო ისინი ბრუნდებოდნენ ამ მონასტერში სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად. ამ მონასტერშივე უნდა იყოს დასვენებული იოანე ლაზიც. ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა იქ შემონახული კედლის მხატვრობა. ეს მხატვრობა თითქმის უკვე შესწავლილია. იქ გახლავთ პეტრეს გამოსახულება, აგრეთვე ჯვრით შემკული ბერის გამოსახულება, რომელიც ჩვენი ვარაუდით იოანე ლაზი უნდა იყოს და სხვა.

მესამე გახლავთ იაკობის მონასტერი, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ. შემდეგ როგორც ჩანს, იყო კორბოს მიერ გათხარული მონასტერი, მერე უმღვიზში. საინტერესოა კი ის გახლავთ, რომ ყველა ამ მონასტერს — იბერთა მონასტერი ეწოდებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ თავად პეტრე არსად არ ჩერდება. აშენებს, მონასტერს, წინამძღვრს აყენებს, წესს უდგენს და მოიღობს.

ერთადერთი მონასტერი, სადაც პეტრე იბერი დროდადრო ბრუნდებოდა მისი ცხოვრების ტექსტზე დაყრდნობით, ჩვენი ფიქრით, ჯვრის მონასტერი უნდა იყოს.

2008 წელს ვიმუშავეთ იორდანიაში, სადაც ჩვენთან ერთად იყო ჩვენი ძალიან ახლო მეგობარი და არაჩვეულებრივი ფრანცისკელი არქეოლოგი მიქელე პიჩირილი. აქ პეტრე იბერის კიდევ ერთ მონასტერს ვუძებდით, თუმცა 10 დღის მანძილზე ეს ვერ მოვახერხეთ. სამწუხაროდ, მიქელე პიჩირილი მალევე მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩვენ კიდევ გვეჩინა მუშაობის შესაძლებლობა, უკვე სხვა ნაწილში და ვფიქრობდით, რომ მივაგებდით ამ მონასტერს. ამ მონასტრის შესახებ მხოლოდ ორი მინაწერი გვაქვს ხელნაწერიდან, სადაც ზუსტად არის მითითებული მისი ადგილმდებარეობა. ასევე მინაწერებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ეს გახლავთ ჯვრის მონასტრის მეტოქეონი. სწორედ ჯვრის მონასტრის მშენებლობისას ამ მონასტერში, რომელსაც იორდანიაში მივაგებთ, იწყებოდა ხელნაწერები, რომლებიც შემდეგ ჯვრის მონასტერში იგზავნებოდა. აქედან გამოდინარე, ეს გახლავთ სკრიპტორიუმი. XI საუკუნეში იგი დაინგრა, როგორც ჩანს, ისევე არაბების შემოსევის შედეგად. ფაქტიურად, მის შემდეგ იქ არაფერი აშენებულა, ამდენად ჩვენთვის ეს ძალიან საინტერესოა. ჩვენს მიერ ჩატარებული

დათვალერებთ დადგინდა, რომ ზედა ფენა ქართულია, ამიტომ ჩვენი დიდი ოცნება შევძლია იმ თანხის მოპოვება, რომლის წყალობითაც შევძლებთ იქ გათხრების ჩატარებას.

სხვათა შორის ამაში აქტიურად არის ჩართული ამერიკელი მეცნიერი, რომელმაც თავისი მოგროვებული მასალები გადმოიმზავნა. ასევე ბრიტანეთის მუზეუმი და ოქსფორდის ანტიოქის ცენტრი. აგრეთვე სურვილი გვაქვს ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში იორდანის ერთ-ერთი უნივერსიტეტის ჩართვა. საერთაშორისო კარაკის უნივერსიტეტი იქნება.

ჩვენი ვარაუდით, ამ მონასტრის ქვედა ფენაც პეტრე იბერის უნდა იყოს, რადგან მან ბევრჯერ იმოგზაურა იორდანიაში, სადაც აგრეთვე მშენებლობას ეწეოდა. სხვათა შორის იორდანიაში ჩვენი პირველი ვიზიტის დროს მიქელე პიჩირილომ გვაჩვენა ის ადგილიც, სადაც დაუძღვრებული პეტრე იბერი ცხელი აბაზანების მისაღებად ჩადიოდა. ეს აბაზანები იმ დროს ძალიან ცნობილი იყო. ამ ადგილს „მაინი“ ჰქვია და ეს „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ არის აღწერილი.

მინდა აღვნიშნო ის, რომ მიქელე პიჩირილო ძალიან ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი, იერუსალიმში ფრანცისკელთა უნივერსიტეტის პროექტორი და იორდანიაში ნებოს მთაზე მოსეს მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. მე ამ ადამიანს ცოცხალ ენციკლოპედიას დავარქმევდი. იგი ყოველთვის ძალიან გუხმარებოდა, რასაც ვერასოდეს დავივიწყებ.

2007 წელს ჩავატარეთ გათხრები თელ-ავივის არქეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად იაენე-იამში ქ. აშლოდან ახლოს, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ეს არის ძველი ბიზანტიური ქალაქი, რომელიც ევლოკამ ააშენა. როდესაც პეტრე მონუცებულობაში ძალიან დაუძღვრდა, იგი ამ ქალაქში დააპტიკა იამნიის ქალაქის თავმა, სადაც პეტრემ თავისი ცხოვრების უკანასკნელი – დაახლოებით 5-6 თვე გაატარა. იქ აღმოჩენილია ევლოკას სასახლის ნაწილი, პატარა ეკლესია, აბანოები.

ჩვენთან მუშაობის სურვილი თავად ისრაელ არქეოლოგებს გაუჩნდათ, რადგან პეტრე იბერზე ძალიან მცირე ცნობები ჰქონდათ.

ჩვენი ვარაუდით ვიპოვეთ პეტრეს საცხოვრებელი, არაჩვეულებრივი იატაკის მოზაიკით, უამრავი მონეტა, ერთ-ერთ მათგანზე (VI-ს.) ცხენზე ამხედრებული წმინდა დემეტრე გამოხატული მონეტა ბრინჯაოსია. ეს ყველაფერი V-VI საუკუნით თარიღდება. ნაპოვნია თავშესაფარი, რომელშიც უამრავი ქვევრია ჯვრის დამღებით. ფაქტია, რომ ეს ამ ქალაქის ქრისტიანული ნაწილი იყო. ასევე აღსანიშნავია საინტერესო უზარმაზარი საფეკავი.

წელს ივემება ევროკავშირის დიდი პროექტი, რომელშიც იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის დახმარებით ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას.

– რას იტყვით იერუსალიმში შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანების თაობაზე. რა პოლიტიკას უნდა მიემართოთ?

– ჩვენ ამ შემთხვევაში არავითარი პოლიტიკა არ გვაქვს. პოლიტიკა უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს და ის არ უნდა იყოს შემთხვევითი და სპონტანური გამოხატული. დღეს იერუსალიმი მხოლოდ შობისა და ცეცხლის გადმოსვლის დროს ასხედნება და ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ ეს ქალაქი, სულ სხვა რამ იყო საქართველოსთვის. მაგრამ ამაში ვერაფერს დავადანაშაულებთ, რადგან ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქართველები იერუსალიმში აღარ იყვნენ. ახლა კი მხოლოდ პირადი ვიზიტებისთვის.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რათა ქართველები და ქართული ეკლესია დაბრუნდეს წმ. მიწაზე. ამის შესრულებას ხანგრძლივი დრო სჭირდება, რადგან, როცა დიდმა ბრიტანეთმა იქ სტატუს-კვო დაამყარა, ჩვენ იქ არ ვიყავით. ამიტომ ამ დოკუმენტში მხოლოდ ის თემები და კონფესიები არიან დადასტურებული, რომლებიც იმ დროს იქ იყვნენ. დღევანდელი ისრაელი, რომელიც მთლიანად საომარ მდგომარეობაშია და პირობებშია, ისევე ამ სტატუს-კვოთი ცხოვრობს. ქართველები დიდძალ ქონებას ვფლობდით იქ მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერი ქონებად არ უნდა აღვიქვათ და მასთან გავაიგივოთ, როგორც ამას ბერძნები, სომხები და სხვა კონფესიების წარმომადგენლები აკეთებენ. ერთხელ ქრისტეს საფლავის კლიტემფლობელმა, რომელიც ტრადიციულად ოსმალთა ხელში, საუბრისას მითხრა: ქართველები მაშინ იყავით ყველაზე ძლიერები აქ, როცა ფინანსურად არ გავჭირდით, ხოლო, როცა ვაიბე დავიცარიელდით, აქედან ყველანი გაფრინდით. დიდი იმედი მაქვს, რომ ისევე დაბრუნდებით. ამგვარი ხსოვნა, რომ ქართველები მდიდრები და ძლიერები იყვნენ, ქრისტიანულ თემსა და პალესტინელ მუსლიმებშიც შემორჩენილია, მაგრამ ახლა ჩვენ ქონებას სხვების ფლობენ და მისი უკან დაბრუნება ურთულესი საქმეა. დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. სამწუხაროდ ჩვენი ძეგლები მაშინ გავასხენდება როცა უკვე გვიან არის.

ჩვენ ვმუშაობთ და ჩვენს მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მეცნიერება, არამედ იმ შემკვიდრების ზუსტი აღწერა, რაც შემორჩენილია. ამას იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ უახლოეს მომავალში ვაპირებთ მათ დაბრუნებას, ეს სრული სისულელე იქნებოდა ჩვენი მხრიდან, მაგრამ ამგვარი არაგონიერული განცხადებები ხშირად მომისმენია, მათ შორის ტელევიზიითაც, როცა სხვადასხვა ადამიანები ვკვირდებიან ეკლესიას და ა.შ. ამით ჩვენ მხოლოდ გაღიზიანებას ვიწვევთ.

რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, ჩვენ ვაგროვებთ მასალებს და დოკუმენტებს, აღწერილი ხელნაწერებსა და ძეგლებს, მაგრამ სამწუხაროდ, ყოველთვის არ ვართ ფინანსურად უზრუნველყოფილი. ჩვენი საქმიანობის შედეგი დაახლოებით 600 ვიწრო ფირი და 800 სლაიდი. მათზე ალბეჭდილი შემკვიდრების რამდენიმე ძეგლი დღეს უკვე განადგურდა და მხოლოდ ჩვენ გვაქვს დოკუმენტურად დაცული. ასეთი მონაცემთა ბაზის შექმნით ვართ დაკავებული და მომავალშიც განვაგრძობთ თუ ვინმე გაიღებს აუცილებელ ხარჯებს. ამ

კუთხით საკმაოდ ბევრი ვაკეთა ბნმა ბადრი პატარაკაციშვილმა. მან პატრიარქის კურთხევით დაფინანსა ჩვენი ორი ექსპედიცია. ძალიან სასიამოვნო იყო მასთან მუშაობა, იგი დაინტერესებული იყო ჩვენი საქმიანობით და თითოეული ჩვენი აღმოჩენა მისთვის ძალზედ ფასეული იყო. ყოველთვის ვგრძობდით მის ინტერესსა და დახმარებას.

ერთი ექსპედიცია იამნიაში დაფინანსა შვეიცარიულმა ფონდმა. ასევე გვექონდა დაფინანსებები სხვადასხვა კერძო პირებისა თუ ფონდებისაგან. თუმცა უხერხულია ყოველთვის უცხო დონორთა იმედზე ვყოფნა, რადგან ჩვენს უკან სახელმწიფო დგას.

– არის იმედი, რომ ეს სიტუაცია ახლო მომავალში გამოსწორდება?

– ვერ ვეტყვით. ამას სჭირდება ადამიანები, რომლებმაც იციან სიძველეთა ფასი რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვართ იმ უდიდესი კულტურის ნაწილი, რომელიც ყველა ქრისტიანულმა ერმა შექმნა.

იქ წმ. მიწაზე შექმნილია მართლაც უნიკალური ხელნაწერები და ტაძრები, ფანტასტიური ფრესკები. წმინდა მიწაზე ფრესკები ზოგადად იშვიათობას წარმოადგენს. შემონახულია XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისის

რეფორმის დამადასტურებელი იმდროინდელი ცნობები დაცულია და ჩვენ ისინი მოგვეპოვება. მსოფლიოში იერუსალიმის მრავალი ხატი არსებობს, მაგრამ მცხეთა უნიკალურია. V საუკუნის იერუსალიმის ღვთისმსახურების ბერძნულენოვანი ლიტერატურა ჩვენამდე არ შემორჩენილა და მისი ქართული და სომხური ვერსიები ორიგინალის ფუნქციას ასრულებს.

– ისევ შოთა რუსთაველის ბარელიეფის საკითხს დავუბრუნდეთ, რა ვერსიები შეიძლება არსებობდეს ამ განდაღურ ფაქტთან დაკავშირებით?

– როგორც უკვე გითხარით, ეს ადგილი პარკია და მე არ მივცემ საკუთარ თავს უფლებას ვინმე დავადანაშაულო ამ ფაქტში. ჩვენ ეს შემთხვევა შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანებასთან არ უნდა გავაიგივოთ, რადგან ფრესკა გადაიფხიკა მონასტერში და ის სულ სხვა ისტორია იყო, ხოლო ეს ამბავი მოხდა მონასტრის გარეთ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

– ამ საკითხთან დაკავშირებით ვნებები ჯერ კიდევ არ დამტკნარდა. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?

– პირველ რიგში თავი უნდა შევიკავოთ ხისტი რეაგირებისაგან. ფრესკის მონგრევის შემდეგ იერუსალიმში ქართველ ებრაელთა საპროტესტო დემონსტრაციები იმართებოდა და საქმე იქამდე მივიდა ერთ-ერთ დემონსტრაციაზე



პილიერიმთა ცნობები, რომლებიც იუწყებიან, რომ ჯვრის მონასტერი ძალიან მდიდრულად იყო მოხატული უკვე ამ პერიოდში. დღესდღეობით ფრესკების დიდი ნაწილი დაკარგულია. ითხი მათგანი თბილისში გვაქვს ჩამობრძანებული. ბევრი შეიძლება მომავალში გაფუჭდეს და არა იმიტომ, რომ ვინმე გვებრძვის. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, მაშინ როცა ისრაელის სახელმწიფო არ არსებობდა, ძალიან ბევრი რამე დაიკარგა ჯვრის მონასტრიდან, ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მონასტერი მაგისტრალზე მდებარეობდა. აქედან გამომდინარე ამ შემკვიდრებაზე მზრუნველობა სახელმწიფო რანგში უნდა იყოს აყვანილი და ორმა სახელმწიფომ და ორმა ეკლესიამ დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად ერთობლივად დაიცვან ჩვენი შემკვიდრება. ჩემი აზრით, აღარ იყო საჭირო შოთა რუსთაველის ბარელიეფის დაზიანებასთან დაკავშირებით ქნესეთისათვის საპროტესტო მიმართვა, რადგან ეს ბარელიეფი მონასტრის გარეთ, პარკში იდგა და ეს ტერიტორია მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. იქ უამრავი შენობა და კორპუსია გარშემო და ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქ სახელმწიფო არაფერ შუაშია. ასევე ბევრი შეცდომა იქნა დამტკიცებული შოთა რუსთაველის ფრესკის აღდგენასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებისას და ამიტომაც ვერ შევძელით, რომ აღდგენისას ქართველ რესტავრატორსაც ემუშავა.

– თუ შეიძლება გავაცანით, რამდენი ქართული წარმომავლობის ინსტრუმენტი ძეგლი და ეკლესია-მონასტერი აღირიცხება წმინდა მიწაზე?

– სხვადასხვა წყაროების შესწავლის შედეგად მივიღეთ დასკვნამდე, რომ წმინდა მიწაზე 40-ზე მეტი ქართული მონასტერი უნდა ყოფილიყო. აქედან ჩვენს მიერ დადასტურებულია 38-ის არსებობა და ამათგან ერთი – დღემდე უცნობი იყო. ასევე ნაპოვია 90 ქართული წარწერა, რომელთაგან 50 შესახებ არაფერ იცოდა. აღვწერეთ მრავალი, ფაქტიურად, უცნობი ხელნაწერი, დოკუმენტი, ნაქარგობა, ხატები და ა.შ. ძალიან ბევრი გაკეთდა უადრესად საინტერესო საკითხის შესასწავლად – თუ რატომ ითვლება მცხეთა მთაზე იერუსალიმად. ამის დასადაგენად მოგვიხდა უძველესი საღვთისმეტყველო წიგნებისა და ხელნაწერების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ვახტანგ გორგასლის დიდი მცდელობით V საუკუნის ბოლოსთვის ქართლში შემოღებულ იქნა ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი და თანაც ქართულ ენაზე. იქნებოდა საკისკოპოსოები, ითარგმნებოდა საღვთო ლიტერატურა. ამ

ჯვრის მონასტერზე გადმოკიდებული საბერძნეთის დროშაც დაზიანდა. ვფიქრობ, მანიფესტაციებით და პროტესტებით ვერაფერს ვუშვებით.

გავისხენებ შემთხვევას, როცა ნიკოლოზის წარწერა მოიხრია. ისე მოვახდინეთ მისი აღდგენა, თითქმის არაფერს ვაუვია. ერთადერთი იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ყურამდე მიადღწია ამ ინფორმაციამ. იგი მე დამიკავშირდა და მკითხა, რა იყო საჭირო ამ საკითხის მოსაგვარებლად. მე უუპასუხე, არაფერი გარდა გარკვეული რაოდენობა თანხისა. მართალია, ჩვენ პროტესტის გამოთქმისაგანაც არ შეგვიკავებია თავი, საპროტესტო ნოტები დავუგზავნეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ ის იყო მცნობიერების მხრიდან გამოთქმული პროტესტი. საბოლოოდ მან ის შედეგი გამოიღო, რომ იერუსალიმის პატრიარქი თავად დავიკავშირდა და ყველანაირ დახმარებაზე თანხმობა განაცხადა. ჩვენ მას წარწერის აღდგენის სურვილი გამოვუთქვი და მისი მონგრევიდან ექვს თვეში სრულიად აღვადგინეთ.

– ჩაგვხედავთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა გამოსავალს ხედავთ არსებული სიტუაციიდან?

– იერუსალიმის საპატრიარქოში თავისი განცხადება უკვე ვაკეთა და წუხილი გამოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენი მხრიდან საჭირო იყო მხოლოდ იერუსალიმის მუნიციპალიტეტისადმი მიმართვა და ახსნა-განმარტების მოთხოვნა მომხდართან დაკავშირებით. თუმცა, მე არ მჯერა, რომ ეს გამოძიება რაიმე შედეგს გამოიღებს, რადგან გამოძიებული დარჩა მონასტრის ტერიტორიაზე მომხდარი შემთხვევაც, ხოლო მონასტრის გარეთ, მარაგზაზე მომხდარი ფაქტი, მით უმეტეს, ვერ იქნება გამოძიებული. მე ვფიქრობ, არც ებრაული ქართველები და არც საქართველოს მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის მზად გასცდეს ემოციურ მოქმედებებს და გადადგას გონივრული ნაბიჯები.

– რას ელით იმ საპროტესტო ნოტისგან, რაც ისრაელის მიმართ გაიგზავნა, გამოიღებს თუ არა რაიმე შედეგს?

- ახსოვლურად არაფერს.
- რას გვეტყვით თქვენი უახლოესი გეგმების შესახებ?
- იმედი გვაქვს, რომ ევროპულ კოლეგებთან ერთად დავგებოთ ევროკავშირის პროექტს განავსორციელებთ, რაც გულისხმობს იერუსალიმში ქართული ხელნაწერების აღწერის დასრულებას.
- უღრმესი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის.
- თქვენც ასევე, წარმატებებს ვისურვებთ.

აბრამ ჩიკვაშვილის ხსოვნა



იერუსალიმში - წმინდა მიწაზე აღესრულა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისში კარდიოლოგიური სამსახურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქალაქის კარდიოლოგიური დისპანსერის ყოფილი მთავარი ექიმი, ექიმი-კარდიოლოგი, ბატონი აბრამ ჩიკვაშვილი.

ბატონი აბრამი სულითა და მრწამსით ნამდვილი ქართველი ებრაელი, თავის საქმეზე - მედიცინაზე და ადამიანებზე უზომოდ შეყვარებული კაცი ბრძანდებოდა. იგი ძირძველი ქუთაისელი იყო. მისმა მშობლებმა - ქალბატონმა სონიამ და ბატონმა მენაშე ჩიკვაშვილებმა შვიდი შესანიშნავი შვილი აღზარდეს, ოჯახის უფროსი ვაჟი აბრამი დაიბადა 1923 წელს. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა. სასწავლებლად ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომელიც 1945 წელს დაამთავრა.

1946 წელს ცოდნის გაღრმავების მიზნით ქ. მოსკოვს მიაშურა და სწავლა ასპირანტურაში განაგრძო, სადაც მუშაობდა ისეთ დიდ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები: ვოვსი, ნეზლინი, ვოტჩელი. 1947 წელს ჩაირიცხა კლინიკურ ორდინატურაში, რომელიც 1951 წელს დაამთავრა და კიდევ ერთი წლით მოსკოვში სამუშაოდ დარჩა. 1952 წელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია. იმავე წელს მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა, იქორწინა კოლეგა რივა პაპიაშვილზე და შექმნა შესანიშნავი ოჯახი. ქალიშვილებიც და სიძეებიც მედიცინის მუშაკები არიან.

ბატონ აბრამს დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ქალაქში კარდიოლოგიის განვითარების საქმეში. მან №1 პოლიკლინიკაში ჩამოაყალიბა კარდიოლოგიური კაბინეტი და პირველი კარდიოგრაფიის მის მიერ აქვე იქნა გადაღებული. შემდეგ ჩამოაყალიბა კარდიო-რევმატოლოგიური კაბინეტი და ბოლოს სარაიონთა-შორისო კარდიოლოგიური დისპანსერი. ამ უკანასკნელის მთავარი ექიმი თვითონ ბრძანდებოდა და სწორედ აქ მკაფიოდ გამოიკვეთა მისი, როგორც ხელმძღვანელ-ორგანიზატორის უნარ-ჩვევები. ბატონი აბრამი მუდამ ახლის ძიებაში იყო და ყოველივე თანამედროვეს, პროგრესულს ნერგავდა. სადაც კი ბატონ აბრამს უშუაშავია, ყველგან ერთგული ადამიანის, დიდი სპეციალისტის, უბადლო ექიმის სახელს ტოვებდა.

ჩვენც, კარდიოლოგიური დისპანსერის ექიმების უმრავლესობა, ხომ მისი აღზრდილები ვართ. მან შეგვასწავლა და შეგვავყვარა ჩვენი საქმე, რასაც ექიმობა, პაციენტისადმი დიდი მოკრძალება და ყურადღება ჰქვია. რამდენი ახალგაზრდა თანამშრომლისათვის მშობელი მამასავით გაუკაფავს ცხოვრების გზა.

1990 წელს ბატონი აბრამის ოჯახმა გადაწყვიტა თავის ისტორიულ სამშობლოში - ისრაელში ასვლა. ჩვენთვის დაუვიწყარია ის დღე, როცა მას ქალაქის მასშტაბით გაცილება მოუწევდა. იქ იმყოფებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელობა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩიკვაშვილების დიდი ოჯახის მეგობრები და ნაცნობები. იყო ბევრი ცრემლი, განშორების დიდი სევდა... ჩვენი თბილი, მეგობრული ურთიერთობა ვერც მანძილმა და ვერც დრომ ვერ გააფერმკრთალა.

ბატონი აბრამი, გზა დაგელოცით მარადიულ სასუფეველში. ქ. ქუთაისი შპს „კარდიოლოგის“ თანამშრომლები ნათელში შეხვალ ჩვენი ქალაქის ქართველ ებრაელთა თემი უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით

ეთხოვება ექიმ-კარდიოლოგს, ბატონ აბრამ ჩიკვაშვილს, რომელიც წმინდა მიწაზე - ისრაელში აბრძანდა.

ბატონ აბრამს ბავშვობიდანვე მიზანდასახულობა, ხასიათის სიმტკიცე, გონიერება გამოარჩევდა. იგი ყოველდღიურად იფართოვებდა თვალსაწიერს, აგროვებდა ყველაფერს ახალს, პროგრესულს. თავდადებით, აისიდან დაისამდე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, ადამიანთა ჯანმრთელობას. ასე იყო ქუთაისში, ასე განაგრძო ისრაელშიც, როდესაც ოჯახით წმინდა მიწაზე ავიდა.

ისრაელში ასვლა კი იმ დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმა იყო, რომელიც სიყრმიდანვე მუდამ თან სდევდა, რადგან ჩიკვაშვილების თითოეული საჩვენებელი ოჯახისათვის რწმუნა მათი მთელი ცხოვრების „ჰაე“ და „პოე“, მათი დვრიტა იყო.

ისრაელში საქართველოსადმი სიყვარული ოდნავადაც არ განელებია, მისი ხსოვნებიდან წარუშლელი იყო სიყრმის ადგილები, ქართველი ნაცნობა-მეგობრები.

ბატონმა აბრამმა ლამაზად იცხოვრა და კაი კაცის სახელი დატოვა.

ქუთაისის ქართველ ებრაელთა თემი და მისი თავმჯდომარე მოსე ბაღუაშვილი

იქნებით მუდამ დაუვიწყარი!

იმერეთის გულის გული - ქუთაისი ამყობდა და კვლავაც იამაყებს ექიმთა იმ თანაგრესკვლავედით, რომლებიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ ქალაქს ამშვენებდნენ. მათგან უთუოდ, უნდა მოვიხსენიოთ ქალბატონი ლილი მელაძე, შოთა დანელია, ალექსანდრე (საშა) კვიციანი, მეირ (ლუტუ) მეგრელიშვილი, გიორგი (გოგი) მაჭავარიანი, დიმიტრი მურულუა და ალექსანდრე (ბუჭა) ძოწენიძე. თანამედროვეთა ამ თანაგრესკვლავედში ბატონი აბრამ ჩიკვაშვილი ერთ-ერთი ელვარე ვარსკვლავი ბრძანდებოდა. რაფინირებული ინტელიგენტი, დიდებული პროფესიონალი, საოცრად კომუნიკაბელური ადამიანი, რომელშიც ებრაელი და ქართველი კაცის ღვთისმოსაობა, დიდსულონება, ხნეობრივი სისპეტაკე და უანგარობა დომინირებდა.

განსაკუთრებით კი გვინბლავდა ახალგაზრდა კოლეგებისადმი მისი საოცარი კეთილმოსურნეობა.

და დღეს, როცა ჩვენთვის ძვირფას ადამიანსა და საყვარელ კოლეგას ვეშვივდებით, გვინდა გულითადი მადლობა ვუთხრათ იმ დიდი ნაღვაწისათვის, რომელიც მან მომავალ თაობებს დაუტოვა, როგორც ჭარბად ადამიანის ცხოვრებისეული სიბრძნე, როგორც ხანმოთულის ანდერძი ახალბედა კოლეგებისათვის.

ბატონი აბრამი, ჩვენ ბედნიერები ვიყავით თქვენთან და თქვენით, ახლა კი გეთხოვებით და გპირდებით, თქვენს ნათელ სახეს და ჩინებულ სახელს დავიწყება არ უწვრთავ.

*რიტო და შალვა ბუზიაშვილები,
კოტე გებეღაშვილი,
მაგალი ჩხოპაძე, ლამარა რიშინაშვილი,
ვახტანგ დანელია. ოთარ მებრძოვი.*

„თუ დაგივიწყო, იარუხალაიმი, თუ დაგივიწყო საქართველო!“

ეს სიტყვები, ბატონი აბრამ ჩიკვაშვილის სულის ღაღადისია. ბატონი აბრამი ებრაელი იყო და ამყობდა ამით!

ბატონი აბრამი ქართველი ებრაელი იყო და ამყობდა ამით. ებრაელი კაცის საარაკო ერთგულებით მსახურებდა ორივე სამშობლოს - ჯერ მშობლიურ ქუთაისს, შემდეგ კი - ისრაელს. მან, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, ექიმმა - კარდიოლოგმა აზროვნების სინატიფით, თეორიული ცოდნითა და ექიმი-კლინიციისტი თვისებების პარმონიული შერწყმით, უტყუარი ალლოთი, მოყვასისადმი უზომო სიყვარულით, სწეულის ტკივილის გათავისებისა და თანაგრძნობის საოცარი უნარით ჩვენი ქალაქის და არა მარტო ქალაქის, მთელი ქვეყნის ღირსეულ მედიკოსთა შორის პატივისცემა, აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

ბატონმა აბრამმა ჩვენს ქალაქში პირველი კარდიოლოგიური კაბინეტი დააარსა, პირველი კარდიოგრაფია მის მიერ იქნა გადაღებული. ეს ფაქტი მხოლოდ ერთი ეპიზოდია, იმ დიდი ღვაწლის წარმოსაჩენად, რაც მას ქალაქ ქუთაისში კარდიოლოგიური მედიცინის აღმავლობაში გაუწევია.

1990 წელს მან ოჯახითურთ ნანატრ-ნაოცნებარ ისტორიულ სამშობლოს - ისრაელს მიაშურა. იქაც რუღუნებით

იმრომ-იღვაწა, ჰქონდა საყვარელი საქმე, ბედნიერი იყო ოჯახით, შვილმონაგართ, რომ იტყვიან, „ჩიტის რბეც“ არ აკლდა, მაგრამ... ეს მაგრამ მშობლიურ საქართველოზე ნოსტალგია, მშობლიური ადგილების, ტოლ-მეგობრებთან განშორების სევდა იყო.

ერთ მშვენიერ დღეს ავიდა გოდების კედელთან და ფიცი დადო, ამჟამად არა ტყვე ებრაელის, არამედ ქართველი ებრაელის „დამიწებულ იქნას მარჯვენა ჩემი, თუ დაგივიწყო, საქართველო!“

ბუმბერაზი ვაჟა წერდა: „...უსამშობლომ, კაცმა ბოგანომ, რა იცის, რაა სამშობლოს ტრფობა?!“

ბატონო აბრამ, დაე, მსუბუქი იყოს თქვენთვის ისრაელის წმინდა მიწა...

საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის რეგიონული განყოფილების პრეზიდენტისა და ჟურნალის „ნოსტალგია“ რედაქციის სახელით: ანტონილო ნიკოლეიშვილი, საზოგადოების პრეზიდენტი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი, აკადემიკოსი, ქუთაისის საპატრიოტო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, შიშოშვიტა ბუზიაშვილი, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალის რედაქტორი, მეცნიერი და ჟურნალისტი, ღირსების მედლის კავალერი, ალექსანდრე (ალექო) შენბეგია, საზოგადოების პრეზიდენტისა და ჟურნალის რედაქციის წევრი, ქუთაისის საპატრიოტო მოქალაქე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ღირსების ორდენის კავალერი, ბიჭიშვილი ზვიადი - ვაჟი „რიონის“ („კუთასკაია პრავდის“) რედაქტორი, იშუა შიჩხაძე - ჟურნალის რედაქტორი ისრაელში, ჟურნალისტი.

ჩვენთან დარჩებით სამარადქამოდ

ვიგონებ, 1971 წელს - ახალგაზრდა სპეციალისტმა მივაშურე კარდიო-რევმატოლოგიურ დისპანსერს, რომლის ხელმძღვანელი ბატონი აბრამ ჩიკვაშვილი იყო. ვფიქრობ, გამიმართლა, რადგან ჩემი კარიერა დაიწყო ისეთ პიროვნებასთან, როგორც ბატონი აბრამი ბრძანდებოდა. იგი ცდილობდა უშურველად გაეცა ის დიდი ცოდნა და გამოცდილება, რაც მას ასე უხვად ჰქონდა. მედიცინის თვალსაზრისით არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომ ჩვენთვის - ახალბედა კარდიოლოგებისათვის არ დაეძახებინა და დეტალურად არ განეხილა თითოეული. თუ ჩვენ ვთხოვდით, ჩვენი პაციენტებისათვის კონსულტაცია გაეწია, ავადმყოფთან აუცილებლად შეგვაქება, ყველაფერს მოგვიწონებდა, მაგრამ თუ რაიმე უხუსტობას შეამჩნევდა, კაბინეტში ჩუმად გავვისწორებდა.

ექიმობა ბატონი აბრამისათვის მარტოდენ პროფესია კი არა მოწოდებდაც იყო, რადგან მას უზომოდ უყვარდა ადამიანები, თავიანთი ზადის მიუხედავად.

ბატონი აბრამი პოეტური სულის პიროვნება იყო, მართალია, ლექსებს თვითონ არ წერდა, მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედების უტყუარი შემფასებელი იყო. მის კაბინეტში ხშირად გავვიმართავს პოეზიის საღამოები, სადაც გალაკტიონის მარგალიტებთან ერთად შექსპირის სონეტებსაც ალტაცებით კითხულობდა.

განშორების მიუხედავად, კვლავ ვმეგობრობდით. ამ მეგობრობას დრომ და სივრცემ ვერაფერი დააკლო. ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა იმ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც მქონდა ბატონ აბრამთან, ისრაელში 2007 წელს, როცა საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად, წმინდა ადგილების მოძიებულად ვიყავი. იმის მიუხედავად, რომ იგი ასაკის გამო, თითქმის არ, ან იშვიათად გამოდიოდა შინიდან, დამლო პატივი და ლოდიდან იერუსალიმში ჩემს სანახავად მთელი ოჯახით ჩამოვიდა. იყო მოფერება, სიხარული, ცრემლი.

გამომშვიდობებისას აბრამმა კიდევ ერთხელ შემასხენა, რომ ებრაელი ერი საქართველოში დევნილად არასოდეს გრძნობდა თავს, მათ სწორედ იქ შეძლეს თავიანთი რწმუნის შენარჩუნება, რამაც ებრაელობას საკუთარი ისტორიული სამშობლო აპოვინა, რისთვისაც მან დიდი მადლობა, ერთ უთქმელი მადლობა, კიდევ ერთხელ (ვინ იცის უკვე მერამდენედ) გადაუხადა ქართველ ხალხს!

*მაღმინა ბაბუხაიძე
საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების იმერეთის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი, ქუთაისის საპატრიოტო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, შპს „კარდიოლოგის“ მთავარი ექიმი, ექიმი-კარდიოლოგი.*

რას ვპიტიხ ულოპი ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევი



ნ
ა
ს
კ

კვირის საკითხავი თავი „ნასო“ ყველაზე დიდი თორის 54 თავს შორის, მასში 176 ფასუქია (წინადადება). საინგერესოა, რომ თუკილიში, მეფე დავითის ფსალმუნებში, 119-ე ფსალმუნის ასევე 176 წინადადებას შეიცავს, მეპირ თორაში კი გრაქტაგი ბავა ბაგრაა ყველაზე დიდი და ისიც 176 გვერდს მოიცავს. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რაგომაა ეს თავი ასეთი დიდი ისაა, რომ მას შავუთის – თორის ბოძების შემდეგ შაბათს კითხულობენ და, ამ დღესთან ასეთი სიახლოვის გამო აუცილებელია განსაკუთრებით განიმსჭვალოს

ებრაელთა სულები თორის სიგვეებით. რა თქმა უნდა, სულ ცოცხა ხნის წინანდელი დღესასწაული „შავუთი“ თორის ბოძების დღე – ებრაელი ხალხის უდიდესი დღესასწაულია. ამ დღის გარეშე, როცა ჩვენ ხალხად ჩამოვყალიბდით, ებრაელები ვერ იარსებებდნენ. თორა ხომ ჩვენი სულია და მის გარეშე ვერ შევძლებდით არსებობას. ხანდახან გვეცმის, რომ ჩვენს მოღერნიზაციის ეპოქაში თორასაც სჭირდება, გამჩენმა ნუ ქნას, მოღერნიზაცია. ასეთი ხმების გასაბათილებლად მინდა ერთი ისტორია მოგიყვეთ: ოდესღაც, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ არ იყო ფეხსაცმლის ფაბრიკები. ვისაც ფეხსაცმელი სჭირდებოდა, ხარაზს უკვეთავდა. ერთმა ებრაელმა თავისი ვაკე მეწაღესთან მიიყვანა ფეხსაცმლის ახალი ფეხსაცმლის შესაკერად. ბიჭს ფეხსაცმელი სიმშარში ელანდებოდა და უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ ჩაიცმევდა ფეხსაცმელს, წავილოდა სინაგოგაში და ყველას გააყვირებდა ლამაზი ფეხსაცმელი. ის ძალზე ბუნდური იყო, როცა მამამ გასასინჯად წაიყვანა. მართლაც შესანიშნავი ფეხსაცმელი გამოვიდა, ბიჭმა მოიშობა ისინი და აღმოჩნდა, რომ მარჯვენა მუსკადა ჰქონდა, მარცხენა კი იმდენად პატარა იყო, რომ ვერც კი იცმევდა. მეწაღემ დაგრძელება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლის შეკერვა გახდა საჭირო, მაგრამ უკვე ფეხსაცმლის აღარ ესწრებოდა. ბიჭს ისტორია დაემართა, მისი ყველა იქნება ხუხულასავით დაინგრა. მამა მეწაღეს ხევეწებოდა, იქნება რაიმეს მოიფიქრებდა შეიძლებაო. უცებ მეწაღემ გახარებულმა წამოიძახა: „უნდა მოვაჭრათ ცერი თითი, რომელიც უშლის“. აქ უკვე მამა განრისხდა და დაუყვირა: „გაბარეულზე გადარეული ხარ“. ფეხსაცმელი უნდა მოერგოს ფეხს და არა ფეხი - მას. ასევე არიან ისინიც, ვინც ცდილობს თორის კანონები ჩვენს თაობას მოარგონ: აქ ჩამოვაჭრათ, იქ შევცვალოთ,

დოსვა

ადინ შტეინზალცი



მას შემდეგ, რაც ადამიანს უკვე ესმის ლოცვის შემადგენელი სიტყვების აზრი და ისე წარმოთქვამს მათ, რომ ისინი ღმერთსა, კენ მიმართულ მტყუარებსა, ქმნიან, იგი გრძობს, რომ ძალიან ძნელია დიდი ხნით ყურადღების მოკრეფა. ლოცვა ხანგრძლივია და მასზე საკუთარი აზრის კონცენტრირება, - მარტო ისიც კი, რომ სხვა არაფერზე არ იფიქრო - უკიდურესად რთულია. გარკვეული აზრით, „სამლოცველო შრომის“ მთავარ ამოცანას სწორედ ეს წარმოადგენს: საკუთარი თავის სრულყოფილად ფლობის შესწავლა და ყურადღების შენარჩუნება. იმისათვის, რათა ადამიანი ყურადღებით მოეკიდოს იმას, რასაც წარმოთქვამს, ლოცვის სიტყვები მისთვის გარკვეული უნდა იყოს, მისთვის მნიშვნელოვანი რამეების შესახებ უნდა აუწყებდნენ და არა იმის შესახებ, რაც მისთვის სრულიად გაუგებარია; და არც ისეთ ჩვეულებრივზე, რომელსაც იგი უკვე ვეღარც ამჩნევს. ადამიანმა, როგორც ბრძენმა ამბოხმა, მუდმივად უნდა განაახლოს ლოცვა: ყოველ ჯერზე რაიმე ახალი უნდა იპოვოს მასში, რათა ლოცვის გამოერება მექანიკურად არ ხდებოდეს. ვინაიდან ლოცვის დროს ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღებისა და კონცენტრირების შენარჩუნება, თუნდაც ყველაზე მარტივ დონეზე, იბადება შეკითხვა: რა არის უმჯობესი - სწრაფად ლოცვა თუ ნელა? ერთი მხრივ, დიდხანს ყურადღების მოკრეფა ძნელია, ამიტომ, სწრაფად ლოცვისას ნაკლებია იმის აღბათობა, რომ ამ დროს თავში გვერდითი აზრები გაჩნდება. მეორე მხრივ, სწრაფად ლოცვისას, დრო შეიძლება არ იყოს საკმარისი კონცენტრირებისთვის. და ამიტომ ამ კითხვაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი, ტიპური პასუხი. არიან ადამიანები, რომლებიც უპირატესობას სწრაფად ლოცვას ანიჭებენ, ვინაიდან ისინი ადვილად იკრებენ ყურადღებას, მაგრამ ამ მდგომარეობის დიდხანს შენარჩუნება ძნელია. და არიან ისეთებიც, რომელთაც საერთოდ არ შეუძლიათ კონცენტრირება, თუ აჩქარდებიან. იგივე შეიძლება ითქვას ერთი და იგივე ადამიანის მიმართაც. ზოგჯერ მას არ შეუძლია კონცენტრირება და ხანგრძლივი ლოცვა მისთვის დაკარგული დროა, ხანდახან კი იგი მზადაა უზენაესთან ჭეშმარიტი ურთიერთობისათვის და მამინ დაკარგულ დროდ სწრაფად ლოცვა ჩაითვლება. სხვა პრობლემა, რომელიც საკითხის არსს ეხება, არის სასურველის სინამდვილედ აღქმა. ზოგჯერ ადამიანებს ეჩვენებათ,

რომ შევკარებული არიან, ზოგჯერ ეჩვენებათ, რომ ლოცვობენ. მათ უნდა ეს შევკარებულმა, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუების შედეგია. ებრაელი დარწმუნებულია, რომ მიახლოდა სიწმინდეს, რომ განიცდის სიყვარულს ღმერთისადმი და თრთოლვას მის წინაშე, - მაგრამ ეს შეცდომაა; ეს განცდა შეიძლება არც იყოს გამოწვეული აუცილებლად სულის უტყუარი სიღრმისეული აღმადრებით. ზოგჯერ იგი პროვოცირებულია გარეგანი მიზეზებით, უაღრესად მატერიალურითაც კი: ადამიანი იმყოფება გარკვეულ გარემოში, ადამიანთა კომპანიაში, რომლებიც მასში განსაკუთრებულ განწყობას იწყებენ; უსმენს მუსიკას - და აღძვრება შესაბამისი რეაქცია. როდესაც ადამიანები ერთად სხედან, ხდება, რომ ერთ-ერთი მათგანი დაამთქნარებს, - და სხვებიც მოქნარებს იწყებენ, რაც შინაგანი მოთხოვნილებით კი არა გამოწვეული, და არც დაღლილობით, არამედ რეფლექტორული მიბაძვით. ასევე, ლოცვის დროსაც შეიძლება რაღაც მსგავსი მოხდეს: ებრაელმა მოისხა ტალიით, ლოცვობს და ჰგონია, რომ ლოცვითაა გატაცებული, დაძაბულობას, რომელიც დაკავშირებულია სიტყვების ყურადღებით წარმოთქმასთან, ემოციების გამოხატვით და ეხმარება წარმოადგინოს მოკრეფამს, როგორც ლოცვაში სრულ შერწყმას. მას წარმოუდგენია, რომ მისი გული დღის სიყვარულითაა აღვსებული, მაგრამ სინამდვილეში ეს აღტკინება მისი სულის სიღრმედან არ მომდინარეობს. ეს მართლაც რთული პრობლემაა. მას, ვინც გულწრფელად ცდილობს ჩაეფლოს ლოცვაში, უფლება აქვს გამოიყენოს გარეგანი საშუალებანი, რომლებიც დაეხმარებიან ყურადღების მოკრეფაში, თუმცა ამან იგი შეიძლება ცრუ შეგრძობებამდე მიიყვანოს. როგორ გავარჩიოთ ჭეშმარიტი ლოცვა მოჩვენებითისაგან? წესი გვაუწყებს, რომ „ალაღ-მართალი ბავები დამტკიცებულია საშუალოდ“ - ანუ ჭეშმარიტების მაჩვენებელს წარმოადგენს მუდმივობა. დამშრალ წყაროს ებრაულად ჰქვია „ცრუ“ - ნახალ ახზავ, სიტყვისაგან - „ტხავ“ - „ცრუ“, - რამეთუ იგი მუდმივად არ არის წყლით სავსე. ჭეშმარიტება ხომ, განსხვავებით სიცრუისაგან, უცვლელია. არსებობს მოვლენა, რომელიც ცრუ ფენქსიონის სახელითაა ცნობილი. ქალი თავის თავში ამჩნევს ფენქსიონისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს: მას აზიდებს, მენსტრუაცია შეუწყდა, მუცელი ცხრა თვის განმავლობაში ეზრდება, სამშობიარო ტკივილებიც იწყება, მაგრამ როდესაც საქმე მიდგება მშობიარობაზე, აღმოჩნდება, რომ ფენქსიონი ცრუ იყო. ჭეშმარიტებას შედეგი გვიჩვენებს. თუ დაიბადება ილუზია - ეს იმის მტკიცებულებაა, რომ თავიდანაც ილუზია იყო. თუ აღფრთოვანების შემდეგ არაფერი არ დარჩა - იგი ყალბი ყოფილა. ამიტომაც, ლოცვის ჭეშმარიტი ღირებულება განისაზღვრება არა იმით, რამდენად ხმაძალა ვეროდა ებრაელი, რამდენად თავდავიწყებით ირწეოდა, და იმითაც კი არა, როგორ გრძობებს განიცდიდა, არამედ იმით, რაც ამ განცდების შემდეგ რჩება. კოცკელი რბე, განიხილავს რა კურთხევის „მთაბან“ ... ბოლო სიტყვებს, რომლებიცაც სრულდება ფსუკეი-დე-ზიმრა - დღის ლოცვის დასასრულში წარმო-საოქმელი ტექსტები, განმარტავს, რომ გამოთქმაში პა-ბოხერ-ბე-შირე-ზიმრა („საგალობლის ჰანვის ამომრეველი“) სიტყვა შირიმ („საგალობელი“) წაკითხული უნდა იქნას როგორც შირიმ („ნარჩენები“). უზენაესმა აირჩია არა გალობა, არამედ ის,

გამჩენმა ნუ ქნას. ჩამოვაჭრათ, შევასწოროთ, შევცვალოთ ჩვენი სულები. ეს „ჭეშმარიტი“ იმ მეწაღეს ჰგვანან. ეს არაა ებრაული გზა. მანამ, სანამ ებრაელებს მისცემდა, გამჩენმა თორა სხვა ხალხებს შესთავაზა. ყველა ეკითხებოდა, თუ რა ეწერა მასში. გამჩენი მათ ერთ რომელიმე მცენებელს ეუბნებოდა და ისინი უარს აცხადებდნენ თორაზე. ხოლო, როცა გამჩენმა ებრაელებს შესთავაზა თორა, მათ უპასუხეს შევასრულებთ და გავიგებთ (ნასე ვენიშმა). ამიგომაც გამჩენმა ებრაელებს უბოძა თორა. საინგერესოა, რომ ის მიცემა, რასაც გამჩენი ხალხს სთავაზობდა მათთვის ყველაზე ძნელი შესასრულებელი იყო (მაგალითად, იშმაელის მთამომავლებს უბოძა - არ მოიპარო). რაგომ? ხომ შეიძლებოდა შეეთავაზებინა მათთვის ის მცენებები, რომელთა შესრულებაც მათ აწყობდათ, მაგ. მშობლების პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული ისე, როგორც საკუთარი თავისა და ა. შ. რაგომ არ გავეთა ეს გამჩენმა? მაგრამ პრობლემა თავად კითხვაში იყო: „რა წერია მასში?“ ანუ შეგვეფერება, გააწყობს ეს ჩვენ, თუ არა? ყველა ადამიანური კანონი ხომ მოგონილია ისე, როგორც მას აწყობს. ამიგომაც თავად კითხვა უკვე ცოცხას შეიცავს. თორა გამჩენის სიბრძნეა და არაა საჭირო იმის კითხვა შეგვეფერება მე, ისეთს როგორც ვარ, თუ არა. პირიქით, თავად უნდა შევცადო შეიცვალო, მიიყვანო საკუთარი თავი ამ კანონებამდე, ეყრდნობი რა მათი დამდგენის, ე. ი. გამჩენის სიბრძნეს. ერთხელ ერთმა ბრძენმა ადამიანმა მითხრა: „მორწმუნე ადამიანებს შეკითხვები არა აქვთ, ურწმუნოებს კი - პასუხები. ებრაელებს არ დაუსვამთ კითხვა, შეგვეფერება ჩვენ თორა, თუ არა. და, თუ ამ კანონებთან ჩვენთვის რაიმე ძნელი შესასრულებელია, საკუთარი თავი უნდა შევცვალოთ და არა თორის კანონები.

თარგმანი ეთერ თოფჩიაშვილი-გიბინიშვილისა (დასაწყისი ის მე-7 და 9 ნომრებში)

ცხადება ტენდერი

გერმანული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი (ამერიკის გერმანული ბავარიანული-გამავრცელებელი კომიტეტის „წონის“ ფილიალი საქართველოში) მოგმართავს წინადადებით, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერში „ზაფხულის გამაჯანსაღებელი ბანაკი“, ჩვენი ორგანიზაციის მეთვრამეტე მხარეში მყოფი ბავარიანული და თემის წევრების შვილებისათვის.

ღაინტერესებულ იურიდიულ პირებს, ვისაც სურთ მიიღონ ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ გაეცნონ მის პირობებს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ავლაბარი, ვახტანგ VI ქ. №30, გერმანული სათემო სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი. ტელ: 877 44 99 50

ტენდერში მონაწილეობის შემთხვევაში აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. ორგანიზაციის წესდება;
2. კომპანიის სარეგისტრაციო მოწმობის ქსერო-ასლი;
3. ფირმის იურიდიული მისამართი;
4. ფირმის ხელმძღვანელის მონაცემები, ტელეფონი;
5. საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა ბანკიდან, რომ ორგანიზაციის ანგარიშზე არ არის დადებული ყადაღა (კარტოთეკა)

ტენდერი შედგება 2010 წლის 31 მაისს, 15.00 სთ-ზე, თბილისის ებრაულ სათემო სახლში. მისამართი: ვახტანგ VI ქ. №30



ნორჩი სპორტსმენების წარმატება

ალექს ბაზაზაშვილის გამარჯვება

დავით კასობაშვილი - გამარჯვებული აიკიდოში

2 მაისი, ქრეშანი

ამ ქალაქში ჩატარდა საერთაშორისო ლია ჩემპიონატი ძიუდოში 1998-2000 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის. ჩემპიონატზე ისრაელის სახელით იასპარეზა თბილისში მცხოვრებმა ალექს ბაზაზაშვილმა (12 წლის) 50 კგ. წონით კატეგორიაში და მოიპოვა პირველი ადგილი.

15 მაისი, თბილისი

„ოლიმპიური რეზერვების“ ცენტრში ჩატარდა თბილისის ლია პირველობა ძიუდოში, ამ ლია პირველობაზე ალექს ბაზაზაშვილმა 50 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა პირველი ადგილი. აქ იგი საქართველოს სახელით გამოდიოდა.

12 მაისს თბილისში გაიმართა „ტომიკი აიკიდოს“ საქართველოს ფედერაციის VI ლია ჩემპიონატი.

ამ ჩემპიონატზე პირველი ადგილი პატარებს შორის მოიპოვა დავით კასობაშვილმა (ცხრა წლის).

დავით კასობაშვილი აიკიდოში მეორე წელია სოლოლაკის აიკიდოს კლუბში ვარჯიშობს, მწვრთნელ ზურაბ ფოლბაასთან. ამავე ჩემპიონატზე დავით კასობაშვილმა თავის მეწყვილე გიორგი ნაოჭაშვილთან ერთად მეორე ადგილი მოიპოვა „კიპონ კატაში“.

აკოვანოვი რუბენ ენოს ბათუმი

გასული კვირის ბოლოს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ლექსიკოლოგთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის ორგანიზატორებიც მასპინძელ უნივერსიტეტთან ერთად იყვნენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. სიმპოზიუმზე წაკითხული იქნა 80-ზე მეტი მოხსენება ლექსიკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე და დაისახა ქართული ლექსიკოლოგიის შემდგომი განვითარების გზები.

სიმპოზიუმის მონაწილეთა დიდი ყურადღება დაიმსახურა ისრაელის ქალაქ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორის, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის, ტრუმენის სახელობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის რუბენ ენოსის მოხსენებამ თემაზე: „ქართველ ებრაელთა მეტყველების ლექსიკონი - საჭიროება და სიმბოლოები“, რომელშიც განხილული იყო ამგვარი ლექსიკონის შექმნასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. სიმპოზიუმის მონაწილეთა საერთო აზრით, ქართველ ებრაელთა მეტყველების ლექსიკონის შექმნა უაღრესად საშური საქმეა.



იოსებ ბარდანაშვილი თბილისში

18 მაისს თბილისის ალ.გრიბოედოვის თეატრში გაიმართა ისრაელელი დრამატურგის იეშუა სობოლის პიესის „გეტოს“ პრემიერა.

სპექტაკლი განახორციელა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა, მხატვარია მირიან შველიძე, კომპოზიტორი - იოსებ ბარდანაშვილი.

პიესა გვიამბობს მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელების მწარე, ტრაგიკულ ხედვრზე. ეს პიესა მსოფლიოს ბევრ თეატრში დაიდგა.

ი.ბარდანაშვილის მიერ სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკა მაღალი პროფესიულობით ხასიათდება. სპექტაკლში კიდევ ერთხელ გაიელვა კომპოზიტორის ნიჭმა.

ხვალ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაიმართება ჯანსუღ კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, ამ საღამოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ნიკა მემანისვილი აწყობს და გახლავთ დამაგვირგვინებელი ნაწილი მუსიკალური გაზაფხულისა.

საღამოზე შესრულდება სულხან ცინცაძის, ჯანსუღ კახიძის, იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებები.

„მენორასთან“ საუბარში იოსებ ბარდანაშვილმა თქვა:

– სულ ახალაზან დაებრუნდი ნიუ-იორკიდან, იქ მანქეტენზე გაიმართა ჩემი კონცერტი – შესრულდა რამდენიმე ნაწარმოები და მყისვე თბილისში გამოვეგზავრე. ძალიან მიყვარს ამ ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში მონაწილეობა. ჩამოვედი გახარებული იმითაც, რომ ამ დღეებში მომენიჭა ისრაელის თეატრალური პრემია „თეატრ ხანში“ ელუარდო დე ფილიპოს პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის დაწერილი მუსიკისათვის. კიდევ გვაქვს სიახლეები რომლის თაობაზეც სწორედ „მენორას“ მკითხველს შევატყობინებ მოგვიანებით.



დაგვუპნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003